**ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.** ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და აღირიცხება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.** კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და აღიარებს ფინანსურ აქტივებზე წმინდა გაუფასურების ზარალს ყოველ საანგარიშო პერიოდზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე. კომპანია სავაჭრო და იჯარის მოთხოვნების გაუფასურებისთვის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. 23-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, მათ შორის თუ როგორ აერთიანებს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

**ფინანსური აქტივები – ჩამოწერა.** ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და შემოსავალი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და შემოსავალი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ასევე შემდგომში, „ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“), გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ („FVTPL“): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემდგომში მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია მიენიჭა თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

**ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობა, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას („SPPI“) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არ აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასების კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არ აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, რომც შეიცვალოს კანონმდებლობა. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვისანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.** სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ნასესხები სახსრები.** ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგების დარიცხული დანახარჯების გარეშე და შემდგომში გატარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**იჯარის ვალდებულებები.** ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება იჯარიდან თავდაპირველად შეფასდება გადახდების დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს შემდგომი იჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნებით
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება მხოლოდ კომპანიას აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებით, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო პერიოდში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს, დაკორექტირებულს ფინანსური პირობების ცვლილებების ასახვად, რადგან დაფინანსება მიღებულია მესამე მხარისგან;
- იყენებს მდგომარეობას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და;
- ახორციელებს იჯარისთვის სპეციფიურ კორექტირებებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

კომპანია ექვემდებარება იჯარის ცვლადი გადახდების სამომავლო პოტენციურ ზრდას ინდექსზე ან განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც არ არის შეყვანილი იჯარის ვალდებულებაში, სანამ ისინი არ შევა ძალაში. როდესაც ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის გადახდების კორექტირებები ძალაში შევა, იჯარის ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტირდება გამოყენების უფლებით აქტივის საწინააღმდეგოდ.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: (ა) ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, (ბ) აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და (ც) წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით, აღირიცხება მუხლში “გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა” საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

**დამატებული ღირებულების გადასახადი** წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისთვის. ზოგადად, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სრული ოდენობით და წარდგენილია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. სადაც ანარიცხი მიღებულია მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, გაუფასურების ზარალი აღრიცხულია მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღე-ს ჩათვლით.

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**მარაგები.** სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ავტომობილების ღირებულება განისაზღვრება უნიკალური იდენტიფიკატორის საფუძველზე, ხოლო სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მარაგების ღირებულება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას წარმოადგენს დადგენილი გასაყიდი ფასი ბიზნესის ნორმალური წარმოებისას, შემცირებული დასრულების ღირებულებითა და რეალიზაციის დადგენილი ხარჯებით.

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდვას დაქვემდებარებულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

**გადახდილი ავანსი.** გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარჩებებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და მაშინ როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

**საწესდებო კაპიტალი.** საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის სავალდებულო სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**საქონლის გაყიდვა.** გაყიდვები აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი გადაცემულია, ანუ საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების მდგომარეობა ამოიწურა ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა. მსგავსი გაყიდვებიდან ამონაგები აღიარებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასებზე, დადგენილი ფასდაკლების მოცულობის ნეტოზე. დაგროვილი გამოცდილება გამოიყენება ფასდაკლებების დადგენისა და მიწოდებისთვის, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ იმ დონემდე, სადამდეც იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი უკუგება არ დადგება, მაღალია. დაფინანსების არანაირი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა 21 დღიანი საკრედიტო პირობით, რომლებიც საბაზრო პრაქტიკისთვისაა დამახასიათებელი. მოთხოვნა აღიარებულია მაშინ, როდესაც პროდუქტი მიწოდებულია, რადგანაც ეს ის დროის მონაკვეთია, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, იმიტომ, რომ მხოლოდ დროის გასვლაა მოთხოვნილი მანამ, სანამ გადახდის დრო მოვა.

თუ კომპანია კლიენტს გაუწევს რაიმე სახის დამატებით მომსახურებას მას შემდეგ, რაც კონტროლი საქონელზე გადაცემულია, ამონაგები მსგავსი მომსახურებიდან ითვლება ცალკე მოვალეობის შესრულებად და აღიარდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც მომსახურება გაიწევა.

**მომსახურების გაყიდვა.** კომპანია მომსახურებას ცვალებადფასიანი ხელშეკრულებების საფუძველზე ეწევა. კომპანია გადასცემს მომსახურებაზე კონტროლს დროის განმავლობაში და შესაბამისად აკმაყოფილებს შესრულების მოვალეობას დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე. თუ ეს ფასები პირდაპირ დაკვირვებადი არ არის, მაშინ ისინი შეფასდება მოსალოდნელი დანახარჯების და მარჟის დამატების საფუძველზე.

**ფინანსური კომპონენტები.** კომპანია არ მოელოს ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებიდან კლიენტთან და კლიენტის მიერ ამ საქონლის საფასურის გადახდის პერიოდი აჭარბებს 1 წელს. შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულებისთვის.

**მომუშავეთა გასამრჯელოები.** ანაზღაურება, ხელფასები, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული მომსახურება იქნა გაწეული კომპანიის თანამშრომლების მიერ.

**შესწორებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ.** ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ მოითხოვს იმ ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელმაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დაამტკიცა.

#### 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

**დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება** ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები განმარტებულია მე-7 შენიშვნაში.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის** განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება,

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული დაშვებებისგან 10%-ით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 67 ათასი აშშ დოლარით ზრდა ან 55 ათასი აშშ დოლარით შემცირება.

**აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა.** იჯარის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს იჯარის პერიოდის გაგრძელების შესაძლებლობის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შესაძლებლობის შემდგომი პერიოდი) იჯარის პერიოდში მხოლოდ იმ შემთხვევაში არის გათვალისწინებული, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

**გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები** შეყვანილი კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. იჯარის პირობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ისეთ ეკონომიკურ წამახალისებელს, რომელიც საშუალებას იძლევა ან გაგრძელების შესაძლებლობის გამოყენების, ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოყენების. გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის შემდეგ პერიოდის შესაძლებლობები) შეყვანილია მხოლოდ იჯარის იმ პირობაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა შეიძლება გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს).

#### 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

შენიშვნა ნაგებობების იჯარისთვის, ჩვეულებრივ, ყველაზე რელევანტური შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტის შემთხვევაში (ან არ გაგრძელების) კომპანიას, ჩვეულებრივ, გააჩნია გონივრული რწმუნება გაგრძელების შესახებ (ან არ შეწყვეტის)
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, რაც მოიცავს ისტორიულ იჯარის ხანგრძლივობას და ღირებულებას და წარმოების შეჩერებას, რომელიც მოითხოვება იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად გამოყენებულია (ან არ არის გამოყენებული) ან, თუ კომპანია ხდება ვალდებული გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს) ის. გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელოვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება. ერთი წლის განმავლობაში გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონების გავლენის ასახვისთვის იჯარის პირობების გადახედვის ფინანსური ეფექტი იქნებოდა ზრდა ან შემცირება 223 ათასი აშშ დოლარის ოდენობით აღიარებული იჯარის ვალდებულებებში და გამოყენების უფლებით აქტივებში.

**იჯარის ვალდებულების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი.** კომპანია იყენებს მის დისკრეციულ სასესხო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშების საფუძველს, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს.

დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედეგად გამოიღებდა იჯარის ვალდებულებების ზრდას 1 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2021 წლის 1 იანვარი: 6 ათასი აშშ დოლარი).



## 5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი შესწორებული სტანდარტები რომლებიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს, თუმცა არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიაზე არის შემდეგი:

**საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- **IBOR-ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:** ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR-ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის ბ5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვევლებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამოწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. **ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:** მე-2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- **ჰეჯირების ურთიერთობებში არასახელშეკრულებოდ განსაზღვრული რისკის კომპონენტების პირველი ფაზის შეღავათის დასრულების თარიღი:** მე-2 ფაზის შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმომ შეწყვიტოს 1 ფაზის შეღავათების გამოყენება არასახელშეკრულებოდ განსაზღვრულ რისკის კომპონენტზე ცვლილებების განხორციელების ორი თარიღიდან უფრო ადრინდელი თარიღით, არასახელშეკრულებოდ განსაზღვრულ რისკის კომპონენტზე, ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა შეწყვეტილია. რისკის კომპონენტების პირველი ფაზის შესწორებებში არ იყო გათვალისწინებული დასრულების თარიღი.
- **დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:** მე -2 ფაზა გთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR-ის რეფორმა.
- **IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები:** შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

## 5 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

**IBOR-ის რეფორმის გავლენა.** სხვადასხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

**Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** 2020 წლის მაისში გამოცემულ იქნა ფასს 16-ის შესწორება, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებული შესწორებით გაგრძელდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თარიღი 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

**ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).** ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შესაბამისობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ძალაში შესვლის თარიღი შემდგომში მოდიფიცირდა 2021 წლის 1 იანვრით ფასს 17-ის შესწორებებით, როგორც ეს განხილულია ქვემოთ).** ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

**შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).** შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- **დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:** საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- **სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:** დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- **ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:** როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- **სხვა შესწორებები:** სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; სამშენებლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).** ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამოწვევის გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესულია იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).** ბასს 1-ის შესწორებები ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირების შესახებ გამოიცა 2020 წლის იანვარში და მისი ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა 2022 წლის 1 იანვრამდე. Covid-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების შედეგად კლასიფიკაციის ცვლილების დანერგვისთვის მეტი დრო ჰქონდეთ. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან, საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას.

აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას, სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ასს 37 ან ფასს 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებები და საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის, ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომდგება დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

**გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

**გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ ამ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოეღოს საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

## 7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშუალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე განმარტებულია პირველ შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი               | უშუალო მშობელი კომპანია | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული საწარმოები |
|--------------------------------|-------------------------|------------------------------------------------|
| სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა | -                       | 423                                            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები     | -                       | 750                                            |
| სავაჭრო და სხვა დავალიანება    | (31,048)                | (1,226)                                        |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი               | უშუალო მშობელი კომპანია | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული საწარმოები |
|--------------------------------|-------------------------|------------------------------------------------|
| სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა | -                       | 654                                            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები     | -                       | 750                                            |
| სავაჭრო და სხვა დავალიანება    | (14,624)                | (1,220)                                        |

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

| ათასი აშშ დოლარი                                   | უშუალო მშობელი კომპანია | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული საწარმოები |
|----------------------------------------------------|-------------------------|------------------------------------------------|
| სხვა შემოსავალი                                    | -                       | 17                                             |
| საგარანტიო მოთხოვნები (გაყიდვების თვითღირებულება)  | -                       | (85)                                           |
| სადაზღვევო მოთხოვნები                              | -                       | 11                                             |
| საქონლის შესყიდვა                                  | (162,017)               | (9,205)                                        |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები | (9)                     | (85)                                           |
| სხვა მომსახურებები                                 | (7)                     | (631)                                          |
| საპროცენტო დანახარჯი                               | -                       | -                                              |

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

| ათასი აშშ დოლარი                                   | უშუალო მშობელი<br>კომპანია | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული<br>საწარმოები |
|----------------------------------------------------|----------------------------|---------------------------------------------------|
| სხვა შემოსავალი                                    | 13                         | 77                                                |
| საგარანტიო მოთხოვნები (გაყიდვების თვითღირებულება)  | -                          | (1,165)                                           |
| სადაზღვევო მოთხოვნები                              | 1                          | 186                                               |
| საქონლის შესყიდვა                                  | (123,738)                  | (7,356)                                           |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები | -                          | (98)                                              |
| სხვა მომსახურებები                                 | -                          | (132)                                             |
| საპროცენტო დანახარჯი                               | -                          | (114)                                             |



**7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

**ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია.** კომპენსაცია, რომელიც ხელმძღვანელ პირებზე გაიცემა მათ მიერ გაწეული მომსახურებისთვის, სრული განაკვეთით აღმასრულებელი მმართველების პოზიციაზე, შეყვანილია თანამშრომლების ხარჯებში მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 617 ათას აშშ დოლარსა და 594 ათას აშშ დოლარს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად.

**8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი                                       | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობ<br>ები | ავტომო<br>ბილები | კომპიუტ.<br>აღჭურვი<br>ლობა | საოფისე<br>აღჭურვი<br>ლობა | სხვა     | არამატერი<br>ალური<br>აქტივები | დაუმთავრებ<br>ელი<br>მშენებლობა | სულ           |
|--------------------------------------------------------|--------------------------------------|------------------|-----------------------------|----------------------------|----------|--------------------------------|---------------------------------|---------------|
| ღირებულება 2020 წლის 1<br>იანვრის მდგომარეობით         | 7,239                                | 886              | 170                         | 121                        | 26       | 1,007                          | -                               | 9,449         |
| დაგროვილი ცვეთა                                        | (183)                                | (280)            | (124)                       | (18)                       | (20)     | (78)                           | -                               | (703)         |
| <b>საბალანსო ღირებულება 2020<br/>წლის 1 იანვარს</b>    | <b>7,056</b>                         | <b>606</b>       | <b>46</b>                   | <b>103</b>                 | <b>6</b> | <b>929</b>                     | <b>-</b>                        | <b>8,746</b>  |
| დამატებები                                             | -                                    | 149              | 97                          | 38                         | -        | 663                            | 1,648                           | 2,595         |
| გასვლები/ჩამოწერები                                    | (308)                                | (125)            | (126)                       | (11)                       | (16)     | (65)                           | -                               | (651)         |
| ცვეთის ხარჯი                                           | -                                    | (176)            | (39)                        | (49)                       | (1)      | (139)                          | -                               | (404)         |
| ცვეთის ხარჯი გასვლიდან                                 | 222                                  | 67               | 125                         | 10                         | 13       | 65                             | -                               | 502           |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერს<br/>საბალანსო ღირებულება</b> | <b>6,970</b>                         | <b>521</b>       | <b>103</b>                  | <b>91</b>                  | <b>2</b> | <b>1,453</b>                   | <b>1,648</b>                    | <b>10,788</b> |
| ღირებულება 2021 წლის 1<br>იანვრის მდგომარეობით         | 6,931                                | 910              | 141                         | 148                        | 10       | 1,605                          | 1,648                           | 11,393        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | 39                                   | (389)            | (38)                        | (57)                       | (8)      | (152)                          | -                               | (605)         |
| <b>საბალანსო ღირებულება 2021<br/>წლის 1 იანვარს</b>    | <b>6,970</b>                         | <b>521</b>       | <b>103</b>                  | <b>91</b>                  | <b>2</b> | <b>1,453</b>                   | <b>1,648</b>                    | <b>10,788</b> |
| დამატებები                                             | 27                                   | 185              | 62                          | 77                         | -        | 753                            | 2,770                           | 3,874         |
| ტრანსფერები                                            | 3,637                                | -                | -                           | 781                        | -        | -                              | (4,418)                         | -             |
| გასვლები/ჩამოწერები                                    | -                                    | (308)            | (39)                        | (100)                      | -        | (14)                           | -                               | (461)         |
| ცვეთის ხარჯი                                           | (76)                                 | (188)            | (61)                        | (88)                       | (1)      | (203)                          | -                               | (617)         |
| ცვეთის ხარჯი გასვლიდან                                 | -                                    | 241              | 39                          | 20                         | -        | 14                             | -                               | 314           |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერს<br/>საბალანსო ღირებულება</b> | <b>10,558</b>                        | <b>451</b>       | <b>104</b>                  | <b>781</b>                 | <b>1</b> | <b>2,003</b>                   | <b>-</b>                        | <b>13,898</b> |
| ღირებულება 2021 წლის 31<br>დეკემბერს                   | 10,596                               | 787              | 164                         | 906                        | 10       | 2,344                          | -                               | 14,807        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | (37)                                 | (336)            | (60)                        | (125)                      | (9)      | (341)                          | -                               | (908)         |
| <b>საბალანსო ღირებულება 2021<br/>წლის 31 დეკემბერს</b> | <b>10,559</b>                        | <b>451</b>       | <b>104</b>                  | <b>781</b>                 | <b>1</b> | <b>2,003</b>                   | <b>-</b>                        | <b>13,899</b> |

2019 წელს კომპანიამ დაიწყო ავჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე მანქანების სადგომისა და სათადარიგო ნაწილების საწყობის მშენებლობა. მშენებლობის პროცესი 2021 წლის აპრილში დასრულდა.

**9 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები**

კომპანია იჯარით იღებს საოფისე და საწყობის ფართებს. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგენილია ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში - ორიდან სამ წლამდე, მაგრამ შესაძლებელია გააჩნდეს გაგრძელების/შეწყვეტის შესაძლებლობაც.

| ათასი აშშ დოლარი                                                | შენიშვნა-ნაგებობები |
|-----------------------------------------------------------------|---------------------|
| <b>საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს</b>                 | <b>1,130</b>        |
| ცვეთის ხარჯი                                                    | (452)               |
| სხვა (იჯარის ფარგლების შემცირება)                               | (280)               |
| <b>საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>398</b>          |
| ცვეთის ხარჯი                                                    | (301)               |
| სხვა (იჯარის ფარგლების შემცირება)                               | (25)                |
| <b>საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>72</b>           |

კომპანიის მიერ აღიარებული საიჯარო ვალდებულებები შემდეგია:

| აშშ დოლარი                         | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|------------------------------------|------------------------|------------------------|
| მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები | 94                     | 341                    |
| გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები | -                      | 104                    |
| <b>სულ საიჯარო ვალდებულებები</b>   | <b>94</b>              | <b>445</b>             |

ფინანსურ ხარჯებში შესულმა საპროცენტო დანახარჯებმა 2021 წელს შეადგინა 17 ათასი აშშ დოლარი. საიჯარო ვალდებულებებისთვის ფულადი სახსრების გადინებამ 2021 წელს შეადგინა 343 ათასი აშშ დოლარი.

**10 სხვა გრძელვადიანი აქტივები**

| ათასი აშშ დოლარი                                                | 2021       | 2020       |
|-----------------------------------------------------------------|------------|------------|
| შეზღუდული ფულადი სახსრები                                       | 750        | 750        |
| <b>სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>750</b> | <b>750</b> |

შეზღუდული ფულადი სახსრები წარმოადგენს კომპანიის მიმწოდებლისათვის ავანსად გადახდილ თანხებს განუსაზღვრელი დროით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გადახდების უსაფრთხოება სამომავლო საქონლის შესყიდვისთვის.

## 11 მარაგები

| ათასი აშშ დოლარი                 | 2021          | 2020         |
|----------------------------------|---------------|--------------|
| საქონელი გზაში                   | 27,831        | 3,841        |
| გასაყიდი ავტომობილები            | 3,479         | 3,526        |
| სათადარიგო ნაწილები              | 1,919         | 1,695        |
| სხვა                             | 15            | 7            |
| <b>სულ მარაგები 31 დეკემბერს</b> | <b>33,244</b> | <b>9,069</b> |

მარაგების ნაშთი წარდგენილია თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

## 12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| ათასი აშშ დოლარი                                                | 2021         | 2020         |
|-----------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                              | 1,190        | 3,211        |
| სხვა ფინანსური მოთხოვნები                                       | 138          | 381          |
| შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით                         | -            | -            |
| <b>სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში</b>       | <b>1,328</b> | <b>3,592</b> |
| ავანსად გადახდილი                                               | 578          | 1,563        |
| შემცირებული გაუფასურების ანარიცხით                              | -            | -            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>1,906</b> | <b>5,155</b> |

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიებით, რომელიც კლიენტების (ავტომობილების დილერები) მიერ არის მოწოდებული. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარანტირებული თანხა შეადგენდა 1,190 ათას აშშ დოლარს (2020: 3,211 ათასი აშშ დოლარი).

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის ღირებულების წარდგენით ცალკე (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა უტოლდება ან აჭარბებს აქტივის საბალანსო ღირებულებას („ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა უფრო მცირეა, ვიდრე აქტივის საბალანსო ღირებულება („არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები“). უზრუნველყოფის გავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

| ათასი აშშ დოლარი                      | ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები |                                  |
|---------------------------------------|--------------------------------|----------------------------------|
|                                       | აქტივების საბალანსო ღირებულება | უზრუნველყოფის რეალური ღირებულება |
| მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია: |                                |                                  |
| - საბანკო გარანტიით                   | 1,190                          | 9,400                            |

## 12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის გავლენა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ათასი აშშ დოლარი                                             | ქარბად უზრუნველყოფილი აქტივები    |                                   |
|--------------------------------------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
|                                                              | აქტივების საბალანსო<br>ღირებულება | აქტივების საბალანსო<br>ღირებულება |
| მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია:<br>- საბანკო გარანტიით | 3,211                             | 9,550                             |

## 13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| ათასი აშშ დოლარი                                                           | 2021         | 2020          |
|----------------------------------------------------------------------------|--------------|---------------|
| მოთხოვნისთანავე გადასახადელი საბანკო ნაშთები                               | 8,694        | 37,810        |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>8,694</b> | <b>37,810</b> |

ფულადი სახსრები ბანკში ინახება საქართველოს საუკეთესო ბანკებში, რომელთაგან ყველას გააჩნია “BB- რეიტინგი” Fitch რეიტინგების საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისათვის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები შეყვანილია 1 ეტაპში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისათვის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნულის ტოლია. საქართველოს ბანკებში არსებული ფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში გამოიმუშავენს საშუალოდ 1 %-დან 2 %-მდე ყოველწლიურად, ხოლო ქართულ ლარში დენომინირებული ფულადი სახსრები - 10%-დან 11%-მდე.

## 14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100% ფლობილია „ტოიოტა ცუშო კორპორაციის“ მიერ და კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბრის: 10 მილიონი აშშ დოლარი). 2021 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2020: ნული).

## 15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები:

| ათასი აშშ დოლარი                                                  | 2021 წლის 31 დეკემბერს<br>დასრულებული წელი |                          |       | 2020 წლის 31 დეკემბერს<br>დასრულებული წელი |                          |          |
|-------------------------------------------------------------------|--------------------------------------------|--------------------------|-------|--------------------------------------------|--------------------------|----------|
|                                                                   | ნასესხები<br>სახსრები                      | საიჯარო<br>ვალდებულებები | სულ   | ნასესხები<br>სახსრები                      | საიჯარო<br>ვალდებულებები | სულ      |
| <b>ვალდებულებები საფინანსო<br/>საქმიანობიდან 1 იანვარს</b>        | -                                          | 445                      | 445   | -                                          | 1,173                    | 1,173    |
| <b>ფულადი ნაკადები</b>                                            |                                            |                          |       |                                            |                          |          |
| სესხის ათვისება                                                   | -                                          | -                        | -     | 34,000                                     | -                        | 34,000   |
| ძირი თანხის დაფარვა                                               | -                                          | (326)                    | (326) | (34,000)                                   | (456)                    | (34,456) |
| გადახდილი პროცენტი                                                | -                                          | (17)                     | (17)  | (144)                                      | (52)                     | (196)    |
| <b>არაფულადი ცვლილებები</b>                                       |                                            |                          |       |                                            |                          |          |
| დარიცხული პროცენტი                                                | -                                          | 17                       | 17    | 144                                        | 52                       | 196      |
| იჯარის ფარგლების<br>შემცირება                                     | -                                          | (25)                     | (25)  | -                                          | (272)                    | (272)    |
| <b>ვალდებულებები საფინანსო<br/>საქმიანობიდან 31<br/>დეკემბერს</b> | -                                          | 94                       | 94    | -                                          | 445                      | 445      |

## 16 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

| ათასი აშშ დოლარი                                                                               | 2021          | 2020          |
|------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| სავაჭრო და სხვა დავალიანებები                                                                  | 32,154        | 15,168        |
| საგარანტიო შეთანხმებით გათვალისწინებული დავალიანება                                            | 1,096         | 1,220         |
| <b>სულ ფინანსური დავალიანება სავაჭრო და სხვა დავალიანებებში<br/>ამორტიზირებული ღირებულებით</b> | <b>33,250</b> | <b>16,388</b> |
| მიღებული ავანსები                                                                              | 140           | 41            |
| <b>სავაჭრო და სხვა დავალიანებები 31 დეკემბერს</b>                                              | <b>33,390</b> | <b>16,429</b> |

#### 17 მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები

კომპანია აწარმოებს ამონაგებს საქონლის და მომსახურების გადაცემის შედეგად დროის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მონაკვეთში შემდეგი მსხვილი სასაქონლო ხაზებით:

| ათასი აშშ დოლარი                                                   | 2021           | 2020           |
|--------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ავტომობილების რეალიზაცია                                           | 156,605        | 157,767        |
| სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია                                    | 10,655         | 8,583          |
| სატრანსპორტო მომსახურება                                           | 1,213          | 1,128          |
| კატალოგების და სახელმძღვანელოების რეალიზაცია                       | 36             | 44             |
| გაყიდვის საკომისიო                                                 | (25)           | (35)           |
| <b>სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b> | <b>168,484</b> | <b>167,487</b> |

ამონაგების აღიარების დრო (ამონაგების ყველა წყაროსთვის) არის შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი                                                   | 2021           | 2020           |
|--------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| დროის გარკვეულ მონაკვეთში                                          | 167,271        | 166,359        |
| დროის განმავლობაში                                                 | 1,213          | 1,128          |
| <b>სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b> | <b>168,484</b> | <b>167,487</b> |

#### 18 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

| ათასი აშშ დოლარი                                  | 2021           | 2020           |
|---------------------------------------------------|----------------|----------------|
| ავტომობილების ღირებულება                          | 138,302        | 143,036        |
| სათადარიგო ნაწილების ღირებულება                   | 8,067          | 6,491          |
| სატრანსპორტო მომსახურება                          | 1,337          | 1,254          |
| კატალოგების და სახელმძღვანელოების ღირებულება      | 33             | 38             |
| მარაგების გაუფასურების ანარიცხი/(აღდგენა), წმინდა | (49)           | 96             |
| <b>სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</b>    | <b>147,690</b> | <b>150,915</b> |

#### 19 სადისტრიბუციო ხარჯები

| აშშ დოლარი                                                                                 | 2021         | 2020         |
|--------------------------------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| თანამშრომელთა ხელფასისა და სარგებლის ხარჯები                                               | 1,828        | 1,811        |
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება                                                      | 1,825        | 1,228        |
| ავტომობილის სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატის საფასური | 554          | 75           |
| საბაჟო ხარჯები                                                                             | 64           | 222          |
| <b>სულ სადისტრიბუციო ხარჯები</b>                                                           | <b>4,271</b> | <b>3,336</b> |

## 20 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| ათასი აშშ დოლარი                             | 2021         | 2020         |
|----------------------------------------------|--------------|--------------|
| პერსონალის ხელფასისა და სარგებლის ხარჯი      | 1,095        | 1,404        |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                 | 617          | 404          |
| საბანკო ხარჯები                              | 349          | 270          |
| აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა          | 301          | 452          |
| სატელეკომუნიკაციო ხარჯები                    | 264          | 177          |
| საოფისე ხარჯები                              | 155          | 104          |
| პროფესიონალური მომსახურების საფასური *       | 127          | 177          |
| იჯარის ხარჯი                                 | 124          | 84           |
| საწვავის ხარჯი                               | 104          | 81           |
| კომუნალური ხარჯები                           | 58           | 41           |
| მოგზაურობის ხარჯი                            | 37           | 44           |
| დაზღვევის ხარჯი                              | 36           | 64           |
| უსაფრთხოების მომსახურება                     | 32           | 30           |
| სხვა                                         | 120          | 166          |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>3,419</b> | <b>3,498</b> |

(\*) პროფესიული მომსახურება მოიცავს 95 ათას აშშ დოლარს (2020: 113 ათასი აშშ დოლარი) - რაც წარმოადგენს აუდიტისა და სხვა მომსახურების საფასურს, რომელიც მოწოდებულია აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მიერ.

## 21 სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო

| ათასი აშშ დოლარი                                           | 2021         | 2020         |
|------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| სხვა შემოსავალი                                            | 147          | 149          |
| შემოსავალი გაწეული სატრანსპორტო მომსახურებიდან             | 13           | 6            |
| იჯარის მოდიფიკაციის შედეგად მიღებული შემოსულობა/(ზარალი)   | -            | (8)          |
| წმინდა შემოსულობა/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გასვლიდან | -            | (65)         |
| გადასახადები მოგების გადასახადის გარდა                     | (118)        | (82)         |
| სხვა ხარჯები                                               | (214)        | (102)        |
| დღგ-ს ხარჯი                                                | (229)        | (252)        |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო</b>                   | <b>(401)</b> | <b>(354)</b> |

## 22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და დაიცავს კომპანიის პოზიციას საგადასახადო კუთხით. შესაბამისად, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს ასახული არ ყოფილა ანარიცხი პოტენციური საგადასახადო ვალდებულებისთვის.

**დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი.** 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 15,432 ათასი აშშ დოლარი (2020: 37,288 აშშ დოლარი). მფლობელებზე გადასახდელ დივიდენდის თანხასთან ერთად კომპანიას ეკისრება შესაბამისი მოგების გადასახადის გადახდა. მფლობელებისთვის გადახდილი იქნა დივიდენდის თანხა 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და ასევე შესაბამისი მოგების გადასახადი 5.318 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

**სასამართლო დავა.** საანგარიშგებო თარიღით კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სასამართლო დავის საფრთხის შესახებ, ანუ ფინანსური ანგარიშგების თარიღით არ არსებობს სასამართლო დავის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

**კლიმატის ცვლილების გათვალისწინება.** კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, როდესაც ის გამოიცემა იმ ბაზრებისთვის, რომლებშიც კომპანია ოპერირებს.



## 23

## ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისთვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საკრედიტო რისკი.** კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**საკრედიტო რისკის მართვა.** საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. საკრედიტო რისკის შეფასება რისკის მართვისთვის ეყრდნობა მხოლოდ საკრედიტო რისკის ანალიზს. ხელმძღვანელობა აწესებს ზღვრებს ყველა კლიენტისთვის/დილერისთვის და ითხოვს საბანკო გარანტიებს, როგორც გირაოს, გასანაღდებელი მოთხოვნების ნაშთებისთვის. სავაჭრო მოთხოვნები უზრუნველყოფილია საგარანტიო თანხებით.

**ზღვრები.** საკრედიტო ზღვრები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს და მტკიცდება მის მიერ. საკრედიტო რისკის წარმოქმნის მონიტორინგისთვის, ხორციელდება რეგულარული ანგარიშები, რომლებიც ემყარება სტრუქტურულ ანალიზს კლიენტის ბიზნესსა და ფინანსურ წარმატებაზე. ხელმძღვანელობა განიხილავს და ახორციელებს ანგარიშს ნებისმიერ მნიშვნელოვან ურთიერთკავშირზე უარყოფითი კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს პარტნიორების წარმატებას და აკვირდება მათ ვადაგადაცელებულ ნაშთებს.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (ECL).** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეიტინგი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვეზე მეტ პერიოდზე 2021 წლის 31 დეკემბრამდე ან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის რეიტინგები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, დაფარონ მოთხოვნები.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

**საბაზრო რისკი.** კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

**23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

| ათასი აშშ დოლარი | 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                                    |                          | 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                                    |                          |
|------------------|-------------------------------------|------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|------------------------------------|--------------------------|
|                  | მონეტარული ფინანსური აქტივები       | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა საბალანსო პოზიცია | მონეტარული ფინანსური აქტივები       | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა საბალანსო პოზიცია |
| ქართული ლარი     | 15                                  | (69)                               | (54)                     | 189                                 | (45)                               | 144                      |
| ევრო             | 25                                  | (1,226)                            | (1,201)                  | -                                   | (1,221)                            | (1,221)                  |
| სხვა             | -                                   | (82)                               | (82)                     | -                                   | (48)                               | (48)                     |
| <b>სულ</b>       | <b>40</b>                           | <b>(1,377)</b>                     | <b>(1,337)</b>           | <b>189</b>                          | <b>(1,314)</b>                     | <b>(1,125)</b>           |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები უცვლელია:

| ათასი აშშ დოლარი                  | 2021                   |                   | 2020                   |                   |
|-----------------------------------|------------------------|-------------------|------------------------|-------------------|
|                                   | გავლენა მოგება ზარალზე | გავლენა კაპიტალზე | გავლენა მოგება ზარალზე | გავლენა კაპიტალზე |
| ქართული ლარის გამყარება 10% -ით   | (5)                    | (5)               | 14                     | 12                |
| ქართული ლარის გაუფასურება 10% -ით | 5                      | 5                 | (14)                   | (12)              |
| ევროს გამყარება 10%-ით            | (120)                  | (102)             | (122)                  | (104)             |
| ევროს გაუფასურება 10% -ით         | 120                    | 102               | 122                    | 104               |
| სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით     | (8)                    | (7)               | (5)                    | (4)               |
| სხვა ვალუტის გაუფასურება 10%-ით   | 8                      | 7                 | 5                      | 4                 |

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და ზღვრებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე. კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს და მისი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ ექვემდებარება სახელშეკრულებო პროცენტის ფასის ხელახალ დადგენას.

**23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე.

კომპანია ცდილობს დაფინანსების სტაბილური საფუძვლის შენარჩუნებას, რაც ძირითადად სავაჭრო და სხვა დავალიანებებს და საიჯარო ვალდებულებებს მოიცავს. კომპანია თანხების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დიფერენცირებულ პორტფელში, იმისათვის, რომ უნარი ჰქონდეს სწრაფად და უპრობლემოდ უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 13). ხელმძღვანელობა აფასებს იმას, რომ ლიკვიდურობის პორტფელის ფულადი სახსრები და საბანკო დეპოზიტები შეიძლება რეალიზებული იყოს ნაღდ ფულზე, ერთ დღეში, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაფარად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულებებს, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში გამჟღავნებულია თანხები, რომლებიც სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია და მოიცავს მთლიან ფინანსური იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური დარიცხვების გამოქვითვის გარეშე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხებისგან, იმიტომ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამყარებულია არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

| <i>ათასი აშშ დოლარი</i>                                                                                 | მოთხოვნა<br>და 1 თვეზე<br>ნაკლები | 1-დან 3<br>თვემდე | 3-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან<br>5 წლამდე | 5 წლის<br>ზემოთ | სულ           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|-------------------|--------------------|-----------------------|-----------------|---------------|
| <b>ვალდებულებები</b>                                                                                    |                                   |                   |                    |                       |                 |               |
| იჯარის ვალდებულებები<br>(შენიშვნა 9)                                                                    | (19)                              | (38)              | (37)               | -                     | -               | (94)          |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები (შენიშვნა 16)                                                          | 33,250                            | -                 | -                  | -                     | -               | 33,250        |
| <b>სულ სამომავლო გადახდები,<br/>სამომავლო ძირითადი თანხების<br/>და პროცენტის გადახდების<br/>ჩათვლით</b> | <b>33,231</b>                     | <b>(38)</b>       | <b>(37)</b>        | <b>-</b>              | <b>-</b>        | <b>33,156</b> |

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

| <i>ათასი აშშ დოლარი</i>                                                                                 | მოთხოვნა<br>და 1 თვეზე<br>ნაკლები | 1-დან 3<br>თვემდე | 3-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან<br>5 წლამდე | 5 წლის<br>ზემოთ | სულ           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|-------------------|--------------------|-----------------------|-----------------|---------------|
| <b>ვალდებულებები</b>                                                                                    |                                   |                   |                    |                       |                 |               |
| იჯარის ვალდებულებები<br>(შენიშვნა 9)                                                                    | (40)                              | (80)              | (221)              | (104)                 | -               | (445)         |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები (შენიშვნა 16)                                                          | 16,388                            | -                 | -                  | -                     | -               | 16,388        |
| <b>სულ სამომავლო გადახდები,<br/>სამომავლო ძირითადი თანხების<br/>და პროცენტის გადახდების<br/>ჩათვლით</b> | <b>16,348</b>                     | <b>(80)</b>       | <b>(221)</b>       | <b>(104)</b>          | <b>-</b>        | <b>15,943</b> |

## 24 კაპიტალის მართვა

**კაპიტალის მართვა.** კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისთვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჯანსაღ ლიკვიდურობის კოეფიციენტს სამუშაო კაპიტალის ეფექტური მართვით, როდესაც წლიური დივიდენდები უკვე გადახდილია. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას და შეფასებულია 25,432 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2020: 47,288 ათასი აშშ დოლარი).

კომპანიას არ გააჩნია გარედან დაკისრებული მოთხოვნები კაპიტალზე.

## 25 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების ხერხების გამოყენებას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისთვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელთ არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად და სჯერა, რომ მისი მოკლევადიანი მოთხოვნებისა და დავალიანებების რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

**აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, მაგრამ რომლებისთვისაც რეალური ღირებულება შეფასებულია**

იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

25 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

|                                               | 2021 წლის 31 დეკემბერი |              |               |                         | 2020 წლის 31 დეკემბერი |               |               |                         |
|-----------------------------------------------|------------------------|--------------|---------------|-------------------------|------------------------|---------------|---------------|-------------------------|
|                                               | 1-ლი<br>დონე           | მე-2<br>დონე | მე-3<br>დონე  | საბალანსო<br>ღირებულება | 1-ლი<br>დონე           | მე-2<br>დონე  | მე-3<br>დონე  | საბალანსო<br>ღირებულება |
| <i>ათასი აშშ დოლარი</i>                       |                        |              |               |                         |                        |               |               |                         |
| <b>აქტივები</b>                               |                        |              |               |                         |                        |               |               |                         |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                     |                        |              |               |                         |                        |               |               |                         |
| ამორტიზირებული<br>ღირებულებით                 |                        |              |               |                         |                        |               |               |                         |
| - ფულადი სახსრები<br>და მათი<br>ეკვივალენტები | -                      | 8,694        | -             | 8,694                   | -                      | 37,810        | -             | 37,810                  |
| - სავაჭრო მოთხოვნები                          | -                      | -            | 1,190         | 1,190                   | -                      | -             | 3,211         | 3,211                   |
| - სხვა ფინანსური<br>მოთხოვნები                | -                      | -            | 138           | 138                     | -                      | -             | 381           | 381                     |
| - სხვა გრძელვადიანი<br>აქტივები               | -                      | -            | 750           | 750                     | -                      | -             | 750           | 750                     |
| <b>სულ აქტივები</b>                           | -                      | <b>8,694</b> | <b>2,078</b>  | <b>10,772</b>           | -                      | <b>37,810</b> | <b>4,342</b>  | <b>42,152</b>           |
| <b>ვალდებულებები</b>                          |                        |              |               |                         |                        |               |               |                         |
| <b>სხვა ფინანსური<br/>ვალდებულებები</b>       |                        |              |               |                         |                        |               |               |                         |
| - სავაჭრო<br>დავალიანებები                    | -                      | -            | 33,250        | 33,250                  | -                      | -             | 16,388        | 16,388                  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | -                      | -            | <b>33,250</b> | <b>33,250</b>           | -                      | -             | <b>16,388</b> | <b>16,388</b>           |

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება დადგინდა როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი.

არაკოტირებული, ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები.** მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

## 25 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები.** სავაჭრო და სხვა ვალდებულებები რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. იმ ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც დასაფარია მოთხოვნამდე ან შეტყობინების შემდგომ პერიოდში („მოთხოვნადი ვალდებულებები“) შეადგენს მოთხოვნამდე გადასახდელ თანხას, დისკონტირებულს იმ პირველი თარიღიდან, როდესაც თანხის გადახდა შესაძლოა მოთხოვნილი იყოს. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები მერყეობს წლიური 7.8%-დან წლიურ 8 %-მდე, ვალდებულების ხანგრძლივობის და ვალუტის მიხედვით.

## 26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღიარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

## 27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

**საბოლოო მომხმარებლისთვის დამატებითი გარანტიის გაცემა.** საანგარიშგებო თარიღის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა მომდევნო 7 წლის ვადით, საბოლოო მომხმარებლისთვის დამატებითი გარანტიის გაცემის შესახებ. ახალი გარანტიები შეიძლება მიენიჭოს შეთანხმების თარიღამდე 10 წლით ადრე გაყიდული მანქანების მფლობელებს. საგარანტიო ღირებულება ჩაირთვება გადასაყიდი ავტომობილების ღირებულებაში, რაც შესაბამისად, გავლენას მოახდენს კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და ვალდებულებებზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ხელმძღვანელობას არ აქვს შესაძლებლობა შეაფასოს ამ მოვლენის ფინანსური ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## შპს ტოიოტა კავკასია

### მმართველობის ანგარიშგება

#### 1 კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2021:

**ზოგადი ინფორმაცია:** შპს ტოიოტა კავკასია („კომპანია“) მდებარეობს საქართველოში. იგი დაარსდა 2006 წლის 18 იანვარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს) და დაფუძნდა საქართველოს რეგულაციების მიხედვით.

კომპანიის უშუალო მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ტოიოტა ცუშო კორპორეიშენია, რომელიც აქციების 100% -ის მფლობელია.

**ძირითადი საქმიანობა** კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტასა და ლექსუს ბრენდის ავტომანქანებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ მიყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისთვის. კომპანია მოქმედებს ტოიოტა მოტორ ევროპისა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმების მიხედვით, რის საფუძველზეც კომპანიას ენიჭება ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება ტოიოტასა და ლექსუსის პროდუქციის გაყიდვაზე.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ყაზბეგის ქ. #34, საქართველო, 0186, თბილისი.

**კომპანიის მისია.** შპს ტოიოტა კავკასია, როგორც ტოიოტას გლობალური ჯგუფის ნაწილი, მშობელი საწარმოს შიდა პოლიტიკისა და კულტურული ღირებულებების მიმდევარია. ტოიოტას ბრენდის ფილოსოფია ყოველთვის უკეთესი მანქანების დამზადებაა, იმისათვის, რომ გულახდილობის პატივისცემის ცნებებზე დაყრდნობით, კავკასიის რეგიონის კლიენტების ცხოვრება გაამდიდროს. ეს, სამომავლოდ განვითარებადი და ჯანსაღი ურთიერთობების შენარჩუნებას ნიშნავს, ზრდად მრავალფეროვან კლიენტებთან და ადგილობრივ გაერთიანებებთან სამართლიანი და ღია კომუნიკაციის მეშვეობით.



ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ამ მოქმედებით, კომპანია ხდება ყველაზე მეტად სანდო და საყვარელი ყველა იმ ქალაქში, სადაც მისი წარმომადგენლობა არსებობს. ამ მიდგომასთან თანმიმდევრულად, კომპანიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს მრავალფეროვან ინიციატივებს, იმისთვის, რომ დახმარება გაუწიოს იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც თავს იჩენენ იმ რეგიონებში, სადაც კომპანიის წარმომადგენლობა არსებობს. ტოიოტა, როგორც ბრენდი, გეგმავს ავტომობილების წარმოებაში მის მიერ

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ფულადი სახსრები ინახება ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებიც იქ განთავსებისას ითვლება მინიმალური დეფოლტის რისკის მქონეებად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ნაშთებს მთავარ ბანკებთან საბალანსო თარიღებზე:

| ათასი აშშ დოლარი                                    | 31-დეკ-21    | 31-დეკ-20     |
|-----------------------------------------------------|--------------|---------------|
| სს საქართველოს ბანკი – მიმდინარე ანგარიში           | 261          | 35,618        |
| სს თიბისი ბანკი-მიმდინარე ანგარიში                  | 8,433        | 2,190         |
| ტოკიოს ბანკი-შპს მიცუბიში UFG, - მიმდინარე ანგარიში | -            | 2             |
| <b>სულ</b>                                          | <b>8,694</b> | <b>37,810</b> |

**სავალუტო რისკი.** კომპანიას გააჩნია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რყევების მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. სავალუტო კურსის ტრანზაქციის რისკის არსებობა კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში შემცირებულია იმ ფაქტით, რომ კომპანიას, მისი ბრუნვისა და ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებული აქვს ფუნქციურ ვალუტაში (აშშ დოლარში). ძირითადი სავალუტო რისკი წარმოიქმნება აშშ დოლარის ღირებულების რყევისას კომპანიის წმინდა ინვესტიციებში აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში (უპირველესად ევრო და ქართული ლარი).

სავალუტო რისკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს რისკისადმი დაქვემდებარების დონეს ვალუტის მიხედვით. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად.

| ათასი აშშ დოლარი | 2021 წლის 31 დეკემბერს        |                                    |                | 2020 წლის 31 დეკემბერს        |                                    |                |
|------------------|-------------------------------|------------------------------------|----------------|-------------------------------|------------------------------------|----------------|
|                  | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა პოზიცია | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა პოზიცია |
| ქართული ლარი     | 15                            | (69)                               | (54)           | 189                           | (45)                               | 144            |
| ევრო             | 25                            | (1,226)                            | (1,201)        | -                             | (1,221)                            | (1,221)        |
| სხვა             | -                             | (82)                               | (82)           | -                             | (48)                               | (48)           |
| <b>სულ</b>       | <b>40</b>                     | <b>(1,377)</b>                     | <b>(1,337)</b> | <b>189</b>                    | <b>(1,314)</b>                     | <b>(1,125)</b> |

კომპანიის ამოცანა კაპიტალის მართვის დროს არის ის, რომ შეინარჩუნოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, იმისთვის, რომ უზრუნველყოს აქციონერებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის დაბრუნება და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა კაპიტალის ხარჯის შესამცირებლად.

**საბაზრო რისკები.** კორონავირუსის პანდემიის შედეგად, მაკროეკონომიკურ და ფინანსურ პირობებთან დაკავშირებული რისკები მნიშვნელოვნად გაიზარდა - როგორც მოკლევადიან, ისე საშუალოვადიან პერსპექტივაში. ეკონომიკური პირობების სტაბილიზაცია 2021 წლის პირველი კვარტალიდან დაიწყო. მიუხედავად ამისა, შემაკავებელი ზომებისა და ეკონომიკური გავლენის გათვალისწინებით, გაურკვევლობის დონე მაღალი რჩება.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავსს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.



დაგროვილი გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცოდნა გამოიყენოს „ადგილობრივი საზოგადოებების ცხოვრების გამდიდრებასა და განვითარებაში“ თავისი წვლილის შესატანად.

**კომპანიის მიზნები.** ტოიოტა, როგორც ბრენდი, პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანებს, მიზნად ისახავს თანამშრომლებისთვის შესაძლებლობის მიცემას, რათა მათ განახორციელონ სოციალური აქტივობები, მოახდინონ თვითრეალიზაცია თავისი სამუშაოს საშუალებით და უფლება მისცეს მათ საშუალება გამოსცადონ აზროვნების, შექმნისა და მოქმედების უნარი. ამ მიზნის მისაღწევად, ორმხრივი ნდობითა და პასუხისმგებლობით სავსე ურთიერთობა ხელმძღვანელობასა და დაქირავებულ თანამშრომლებს შორის არსებითია. ასეთი ურთიერთობებისას, კომპანია უმაღლეს პრიორიტეტად აწესებს მისი თანამშრომლების სტაბილურ დასაქმებას და აქტიურად ცდილობს გააუმჯობესოს შრომითი გარემო, ამავდროულად დაქირავებული თანამშრომლები აკეთებენ ყველაფერს, იმისათვის, რომ კომპანიის წარმატება გაზარდონ.



ტოიოტამ, ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან სტრატეგიად მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წინ წაწევა დასახა. ხელმძღვანელობა მუშაობს იმაზე, რომ შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც მრავალფეროვანი შესაძლებლობის და ღირებულებების მქონე კადრებს და თითოეულ ინდივიდს შეუძლია მიაღწიოს დადებით თვითრეალიზაციას. **მრავალფეროვანი** პერსპექტივები ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოქმნას და პრობლემების გამოვლინებას. ტოიოტა მიზნად ისახავს, გამოიყენოს ეს კონტრიბუციები კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, რათა დაამზადოს ყოველთვის საუკეთესო ავტომობილები.

## 2 კორპორაციული მმართველობა:

შპს „ტოიოტა კავკასია“ მდგრადი ზრდის და კორპორატიული ღირებულების სტაბილური, გრძელვადიანი ამაღლების საკითხს განიხილავს, როგორც ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს. პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან (აქციონერებთან, მომხმარებლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან, ადგილობრივ გაერთიანებებთან და თანამშრომლებთან) და იმ პროდუქტებით მუდმივ უზრუნველყოფას, რომლებიც მომხმარებლებს დააკმაყოფილებს, რომეზსაც ამ პრიორიტეტების განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით, ტოიოტა მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს კორპორაციული მმართველობა.

ფუნდამენტური მიდგომა - ტოიოტას, როგორც ბრენდის, სახელმძღვანელო პრინციპები აცხადებს, რომ ტოიოტა „პატივს სცემს ყველა ერის კანონის ენასა და სულისკვეთებას და აწარმოებს ღია და სამართლიან ბიზნეს საქმიანობას, რათა გახდეს მსოფლიოს კარგი კორპორაციული მოქალაქე“. შპს "ტოიოტა კავკასია" იცავს მშობელი საწარმოს ინიციატივას (რაც ტოიოტას ბრენდს განსაზღვრავს) და თვლის, რომ ამ პრინციპის დაცვით, მას შეუძლია შეასრულოს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს მისი დაცვა. ტოიოტას ქვეყნის კოდექსის შემცველი ბროშურა ურიგდება ყველა თანამშრომელს, რათა მათ უკეთ შეძლონ კოდექსის პრაქტიკაში გამოყენება საკუთარ ცხოვრებაში, როგორც სამსახურში, ისე საზოგადოებაში.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

**(i) თანამშრომლებთან ურთიერთობა.** შპს „ტოიოტა კავკასიის“ პერსონალის რაოდენობა 79 - 89-ის ფარგლებშია (2020: 76 - 80). კომპანიას აქვს კარგად სტრუქტურირებული თანამშრომლების დაქირავების პოლიტიკა და კომპანიის მიერ მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კადრების დაქირავება ხორციელდება.

როგორც დამსაქმებელი, შპს ტოიოტა კავკასია უზრუნველყოფს ინსტრუმენტებსა და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს, რათა უზრუნველყოს პერსონალის მიერ მომხმარებელთათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურების გაწევა. კომპანია სთავაზობს განსაკუთრებულ წინსვლის შესაძლებლობებს, პოზიტიურ სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს შრომისმოყვარე, მიზანდასახული პირებისთვის, სადაც თანამშრომლების უფლებები კარგად არის დაცული, რასაც კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტი ყურადღებით უწყევს მონიტორინგს.

**(ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და დილერებთან.** კომპანიამ სანდო ურთიერთობა დაამყარა კავკასიის რეგიონის დილერებთან. დილერების ზრდა და ძლიერი პოზიციონირება კონკურენტულ ბაზარზე მნიშვნელოვნად მხარდაჭერილია კომპანიის მიერ. შპს „ტოიოტა კავკასიამ“ დანერგა დილერების შიდა სისტემა, რომელიც ისეთი ინფორმაციის სწრაფად გაცვლის საშუალებას იძლევა, როგორცაა შეკვეთის დეტალები (ავტომობილის და სათადარიგო ნაწილების მახასიათებლები) და მიწოდების დრო.

შპს „ტოიოტა კავკასია“ ავტომანქანებსა და სათადარიგო ნაწილებს Toyota Motor Europe- სგან იძენს (მწარმოებელი) და უზრუნველყოფს ინდივიდუალური შესყიდვის თითოეული პროდუქტის ხარისხს.

**(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან.** კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად არის ჩამოყალიბებული და მართული. კომპანიის საბუღალტრო განყოფილება დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების გასაცნობად, რომლებსაც შესაძლოა კომპანიაზე გავლენა ჰქონდეს.

გარდა ამისა, კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს გარე (აუთსორსინგი) მომსახურებებს საგადასახადო კონსულტაციებისთვის. ყოველწლიურად კომპანია ამზადებს სატრანსფერო ფასწარმოქმნის ანგარიშს ადგილობრივ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კომპანიას აქვს საგადასახადო ორგანოებთან დავების ლიმიტირებული ისტორია და არ გააჩნია მნიშვნელოვანი ჯარიმებისა და / ან საურავების ისტორია.

### 3 მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები:

კომპანია ახორციელებს ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდირებულ ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილებს რეალიზაციას კავკასიის რეგიონში, რომელიც გულისხმობს საქართველოსა და აზერბაიჯანის ბაზარს. კომპანია ყოველწლიურად აძლევს ავტორიზირებული დილერობის უფლებას იმ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს. ავტორიზირებული დილერობის უფლება ლექსუსისა და ტოიოტას ბრენდებზე გაიცემა ცალკე.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ინფორმაციას კომპანიის მთავარ წარმადობის ინდიკატორებზე:

| ათასობით აშშ დოლარი   | 2021    | 2020    |
|-----------------------|---------|---------|
| ამონაგები             | 168,484 | 167,487 |
| გაყიდვების ხარჯი      | 147,690 | 150,915 |
| მთლიანი მოგების მარჟა | 12%     | 10%     |
| ნეტო მოგების მარჟა    | 5%      | 6%      |
| სულ აქტივები          | 58,909  | 64,162  |
| სულ კაპიტალი          | 25,425  | 47,288  |

ამონაგების შედარებით მცირე ზრდა კორონავირუსის გლობალური გავრცელების შედეგს წარმოადგენს. COVID-19-ის გლობალური პანდემიის დაწყებიდან, კომპანიის წმინდა აქტივებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე პანდემიის გავრცელებამ და მის შესაჩერებლად შემოღებულმა რეგულაციებმა უარყოფითი გავლენა იქონია. თუმცა, 2021 წლის პირველი კვარტალიდან გლობალურმა ეკონომიკამ და განსაკუთრებით საქართველომ დაიწყო აღდგენის ფაზა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ვაქცინების სწრაფი გავრცელება, „ლოქდაუნის“ რეგულაციების შემსუბუქება და საზღვრების გახსნა გლობალური მიწოდების ხელშეწყობისთვის. ეს კომპანიას დაეხმარა შეენარჩუნებინა ზრდის ტემპი და დაეგემა გაყიდვების ზრდა მომდევნო წლებში. ბაზარზე ასევე დაფიქსირდა კომპანიის ავტომობილებზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, რაც არის დამატებითი პოზიტიური პერსპექტივა, რომლის მაქსიმიზაციასაც ხელმძღვანელობა გეგმავს.

მთლიანი აქტივების შემცირება ძირითადად გამოწვეულია კომპანიის ერთადერთი დამფუძნებლისთვის 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობის დივიდენდების გადახდით. გარდა ამისა, წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, კომპანიამ წინასწარ შეუკვეთა მისი ავტომობილების მარაგი (წარმოდგენილია, როგორც საქონელი გზაში) ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნისა და COVID-19 გლობალური პანდემიით გამოწვეული მიწოდების შეფერხების და გაურკვევლობის გამო.

მთლიანი კაპიტალის შემცირებაც წარმოადგენს კომპანიის გადაწყვეტილების შედეგს, გამოეცხადებინა და გადაეხადა 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობის დივიდენდი. 2020 წელს კომპანიას არც გამოუცხადებია და არც გადაუხდია დივიდენდები.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქავოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

## ამონაგებში ცვლილებების ანალიზი

შპს ტოიოტა კავკასია არის ერთადერთი ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების ოფიციალური იმპორტიორი. ავტომობილები ძირითადად მზადდება იაპონიაში და ტრასპორტირდება ზღვით. ქვემოთ მოცემული პირველი გრაფა აჩვენებს ავტომობილების გაყიდვებს მოდელების მიხედვით და მეორე გრაფა აჩვენებს ქვეყნების მიხედვით მიღებულ ამონაგებს გაყიდვებიდან.

### გრაფა 1\*

| ათასობით აშშ დოლარი | 2020   | 2019   |
|---------------------|--------|--------|
| Land Cruiser        | 60,022 | 80,186 |
| Rav 4               | 32,943 | 28,318 |
| Camry               | 20,567 | 14,483 |
| Lexus               | 15,980 | 19,730 |
| Highlander          | 8,649  | 1,136  |
| Corolla             | 6,928  | 6,280  |
| Hilux               | 6,411  | 3,721  |
| C-HR                | 5,117  | 3,556  |
| Fortuner            | 1,108  | 2,182  |
| Coaster             | 93     | -      |

\* მოიცავს ამონაგებს ტრასპორტირების მომსახურების ჩათვლით

### გრაფა 2

| ათასობით აშშ დოლარი | 2021   | 2020   |
|---------------------|--------|--------|
| საქართველო          | 64,510 | 65,669 |
| აზერბაიჯანი         | 93,308 | 93,923 |

## 2021 წლიდან წარდგენილი ახალი პროდუქტები და მომსახურებები

2021 წელს კომპანიამ წარდგინა ახალი პროდუქტი - Toyota CASCO და Lexus CASCO (სადაზღვევო პროდუქტი) აზერბაიჯანში თავისი მომხმარებლებისა და საბოლოო მომხმარებლებისთვის, რაც კომპანიის ბრენდს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს და ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

კომპანიამ, 2021 წლიდან, ასევე დაანერგა მეორადი მანქანების საგარანტიო პროგრამა. სერვისის ფუნქციონირებს დილერების მეშვეობით, მწარმოებლის Toyota Motor Europe-ის დაფარვით. კომპანია ხელს უწყობს მომსახურების გავრცელებას თავის რეგიონში.

2021 წელს კომპანიამ დაიწყო ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდების ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების საწყობის ოპერირება ავჭალაში. მიწა და საწყობის შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.



## 4 კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანია, 2021 წელს, გეგმავს ტოიოტას ახალი მოდელების წარდგენას, რამდენიმე ჰიბრიდული მოდელის ჩათვლით (Toyota Yaris Cross and RAV4 Hybrid adventure grade), რადგან ბაზარზე ჰიბრიდულ ავტომობილებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება. კომპანია 2022 წლიდან აპირებს წარმოადგინოს NX, ES Hybrid და ასევე ახალი თაობის LX, რომელიც ამ დროისთვის, ყველაზე ძვირადღირებული მოდელია კავკასიის რეგიონისთვის. კომპანია ასევე აპირებს გაზარდოს შეკვეთების რაოდენობა იმ მოდელებზე, რომლებზე მოთხოვნაც დიდია, როგორიცაა Land Cruiser 300 და Rav 4 Hybrid. მოსალოდნელია, რომ კომპანია დიდწილად ახალი საავტომობილო მოდელების გაყიდვიდან მიიღებს სარგებელს.

2022 წელს კომპანია გეგმავს ახალი საგარანტიო პროდუქტის - „Toyota 10“ და „Lexus 10“ აზერბაიჯანსა და საქართველოში შემოტანას და დანერგვას დილერების მეშვეობით, რაც შემატებს ღირებულებას Toyota-სა და Lexus-ის ბრენდს და გაზრდის მომხმარებელთა შემდგომი შენარჩუნების შესაძლებლობას და კმაყოფილებას, რაც შექმნის დამატებით შემოსავლის მიღების შესაძლებლობებს. მწარმოებლის გარანტიის ვადის ამოწურვის შემდეგ Toyota 10 და Lexus 10 აძლევს Toyota-ს და Lexus-ის მომხმარებლებს შესაძლებლობას, გაზარდონ გარანტიის დაფარვა მომდევნო ტექნიკურ მომსახურებამდე (1 წელი ან 10,000 კმ, რომელიც პირველი მოხდება) ოფიციალურ დილერთან სრული ტექნიკური მომსახურების ჩატარების შემდეგ (ავტომობილის ასაკის 10 წლამდე მიღწევის ან 160,000 კმ გარბენის მიღწევის დრომდე, რომელიც პირობაც უფრო ადრე დადგება).

## 5 მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები:

**საკრედიტო რისკი.** კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ეს არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის ვალდებულების შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებიდან, ბანკის ვადიანი დეპოზიტებიდან, ასევე კლიენტების საკრედიტო რისკებიდან, რაც ასევე მოიცავს დასაფარ მოთხოვნებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

| ათასობით აშშ დოლარი                            | 31-დეკ-21    | 31-დეკ-20    |
|------------------------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო                       | 1,190        | 3,211        |
| სხვა მოთხოვნები, ნეტო                          | 138          | 381          |
| <b>სულ საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება</b> | <b>1,328</b> | <b>3,597</b> |

ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად საკრედიტო რისკს ექვემდებარება, შედგება ძირითადად სავაჭრო მოთხოვნებისგან. ანგარიშების მოთხოვნის საბალანსო ღირებულება, მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის გარეშე წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელსაც გააჩნია საკრედიტო რისკი.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიებით, რომლებიც მოწოდებულია კლიენტების მიერ (ავტომობილების ავტორიზირებული დილერები). გარანტირებულმა თანხამ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,190 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (2020: 3,211 აშშ დოლარი).

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.



**პოლიტიკური რისკები**. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შპს ტოიოტა კავკასიის სამომავლო წარმადობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან.

კოჯი მაცუნო  
პრეზიდენტი

თარიღი 21.03.2022

ირაკლი ლევიშვილი  
დირექტორი, კორპორაციული  
დაგეგმარების განყოფილება

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

შპს ტოიოტა კავკასია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით  
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

გიორგი ჭაფუჭიძე

## შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგებები

|                                                                |   |
|----------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                       | 1 |
| მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 2 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....               | 3 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....                             | 4 |

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
შინაარსი

|    |                                                                                           |    |
|----|-------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1  | შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა .....                                              | 5  |
| 2  | კომპანიის საოპერაციო გარემო .....                                                         | 6  |
| 3  | სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .....                                            | 7  |
| 4  | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ..... | 17 |
| 5  | ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება .....                       | 19 |
| 6  | საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები .....                                     | 20 |
| 7  | ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                                       | 26 |
| 8  | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები .....                                     | 27 |
| 9  | აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები .....                                 | 28 |
| 10 | სხვა გრძელვადიანი აქტივები .....                                                          | 28 |
| 11 | მარაგები .....                                                                            | 29 |
| 12 | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                                          | 29 |
| 13 | ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები .....                                               | 30 |
| 14 | საწესდებო კაპიტალი .....                                                                  | 30 |
| 15 | საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება .....                         | 31 |
| 16 | სავაჭრო და სხვა ვალდებულება .....                                                         | 31 |
| 17 | მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები .....                    | 32 |
| 18 | რეალიზებული საქონლის თვითღირებულება .....                                                 | 32 |
| 19 | სადისტრიბუციო ხარჯები .....                                                               | 32 |
| 20 | საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                                   | 33 |
| 21 | სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო .....                                                       | 33 |
| 22 | გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები .....                                        | 34 |
| 23 | ფინანსური რისკის მართვა .....                                                             | 35 |
| 24 | კაპიტალის მართვა .....                                                                    | 38 |
| 25 | რეალური ღირებულების შეფასება .....                                                        | 38 |
| 26 | ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით .....                   | 40 |
| 27 | საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....                                           | 40 |

ქეთევან ჭეიშვილი



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ტოიოტა კავკასიის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

### ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ტოიოტა კავკასიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2022 წლის 21 მარტი  
თბილისი, საქართველო

ჩუგუა ზეუაშვილი

**შპს ტოიოტა კავკასია**  
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

| ათასობით აშშ დოლარში                            | შენიშვნა | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| <b>აქტივები</b>                                 |          |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                    |          |                           |                           |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 8        | 13,898                    | 10,788                    |
| აქტივის გამოყენების უფლება                      | 9        | 72                        | 398                       |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                      | 10       | 750                       | 750                       |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                |          | <b>14,720</b>             | <b>11,936</b>             |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                    |          |                           |                           |
| მარაგები                                        | 11       | 33,244                    | 9,069                     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                      | 12       | 1,906                     | 5,155                     |
| საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო                   |          | 345                       | 192                       |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები           | 13       | 8,694                     | 37,810                    |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                |          | <b>44,189</b>             | <b>52,226</b>             |
| <b>სულ აქტივები</b>                             |          | <b>58,909</b>             | <b>64,162</b>             |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                        |          |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                              | 14       | 10,000                    | 10,000                    |
| გაუნაწილებელი მოგება                            |          | 15,425                    | 37,288                    |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                    |          | <b>25,425</b>             | <b>47,288</b>             |
| <b>ვალდებულებები</b>                            |          |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>               |          |                           |                           |
| საიჯარო ვალდებულებები                           | 9        |                           | 104                       |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |          |                           | <b>104</b>                |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>               |          |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                   | 16       | 33,390                    | 16,429                    |
| საიჯარო ვალდებულებები                           | 9        | 94                        | 341                       |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |          | <b>33,484</b>             | <b>16,770</b>             |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                        |          | <b>33,484</b>             | <b>16,874</b>             |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>            |          | <b>58,909</b>             | <b>64,162</b>             |

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2022 წლის 21 მარტს.

კოჯი მაცუნო  
 პრეზიდენტი

ირაკლი ლეკიშვილი  
 დირექტორი, კორპორაციული  
 დაგეგმარების განყოფილება

**შპს ტოიოტა კავკასია**  
**მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

| ათასი აშშ დოლარი                                             | შენიშვნა | 2021          | 2020          |
|--------------------------------------------------------------|----------|---------------|---------------|
| ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული<br>ხელშეკრულებებიდან   | 17       | 168,484       | 167,487       |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება                          | 18       | (147,690)     | (150,915)     |
| <b>მთლიანი მოგება</b>                                        |          | <b>20,794</b> | <b>16,572</b> |
| სადისტრიბუციო ხარჯები                                        | 19       | (4,271)       | (3,336)       |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                            | 20       | (3,419)       | (3,498)       |
| უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის<br>შემოსულობა/(ზარალი), ნეტო |          | 92            | (391)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო                                | 21       | (401)         | (354)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                     |          | <b>12,795</b> | <b>8,993</b>  |
| ფინანსური შემოსავალი                                         |          | 637           | 723           |
| ფინანსური ხარჯები                                            |          | (17)          | (166)         |
| <b>მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>                |          | <b>13,415</b> | <b>9,550</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                    |          | (5,318)       | -             |
| <b>წლის მოგება</b>                                           |          | <b>8,097</b>  | <b>9,550</b>  |
| სხვა სრული შემოსავალი                                        |          | -             | -             |
| <b>სულ წლის სხვა სრული შემოსავალი</b>                        |          | <b>8,097</b>  | <b>9,550</b>  |

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-40 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

თოთაბაგაშვილი

შპს ტოიოტა კავკასია  
საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

| ათასი აშშ დოლარი                             | შენიშვნა | საწყისდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ      |
|----------------------------------------------|----------|------------------------|-------------------------|----------|
| ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს                    |          | 10,000                 | 27,738                  | 37,738   |
| წლის მოგება                                  |          | -                      | 9,550                   | 9,550    |
| წლის სხვა სრული შემოსავალი                   |          | -                      | -                       | -        |
| სულ 2020 წლის სხვა სრული<br>შემოსავალი       |          | -                      | 9,550                   | 9,550    |
| გამოცხადებული დივიდენდები                    | 14       | -                      | -                       | -        |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით |          | 10,000                 | 37,288                  | 47,288   |
| წლის მოგება                                  |          | -                      | 8,097                   | 8,097    |
| წლის სხვა სრული შემოსავალი                   |          | -                      | -                       | -        |
| სულ 2021 წლის სრული შემოსავალი               |          | -                      | 8,097                   | 8,097    |
| გამოცხადებული დივიდენდები                    | 14       | -                      | (29,960)                | (29,960) |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით |          | 10,000                 | 15,425                  | 25,425   |

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-40 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების  
განუყოფელ ნაწილს

ბიუჯეტის დირექტორი

**შპს ტოიოტა კავკასია**  
**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

| ათასი აშშ დოლარი                                                                       | შენიშვნა | 2021            | 2020           |
|----------------------------------------------------------------------------------------|----------|-----------------|----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე</b>                     |          | <b>13,415</b>   | <b>9,550</b>   |
| შესწორებები:                                                                           |          |                 |                |
| აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა                                                      | 9        | 301             | 452            |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                   | 8        | 617             | 404            |
| ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი/(შემოსულობა), ნეტო                     | 21       | -               | 65             |
| მარაგების გაუფასურების ანარიცხი (კომპენსაცია)                                          | 18       | (49)            | 96             |
| ფინანსური შემოსავალი                                                                   |          | (637)           | (723)          |
| ფინანსური ხარჯები                                                                      | 15       | 17              | 166            |
| უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო                              |          | (92)            | 391            |
| სხვა არაფულადი საოპერაციო ხარჯები                                                      |          | -               | 8              |
| <b>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე</b>                      |          | <b>13,572</b>   | <b>10,409</b>  |
| შემცირება საგაჭრო და სხვა მოთხოვნებში                                                  | 12       | 3,254           | 1,253          |
| (ზრდა)/შემცირება მარაგებში                                                             | 11       | (24,126)        | 37,889         |
| ზრდა/(შემცირება) საგაჭრო და სხვა ვალდებულებებში                                        | 16       | 17,022          | (22,455)       |
| შემცირება საგადასახადო დავალიანებებში                                                  |          | (184)           | (216)          |
| <b>ცვლილება საბრუნავ კაპიტალში</b>                                                     |          | <b>(4,034)</b>  | <b>16,471</b>  |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                           |          | (5,287)         | (1,358)        |
| მიღებული საპროცენტო შემოსავალი                                                         |          | 637             | 723            |
| გადახდილი პროცენტი                                                                     | 15       | (17)            | (166)          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>                        |          | <b>4,871</b>    | <b>26,079</b>  |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                      |          |                 |                |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                                                         | 8        | (3,874)         | (2,595)        |
| შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან                                            |          | 147             | 84             |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>                   |          | <b>(3,727)</b>  | <b>(2,511)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                         |          |                 |                |
| შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან                                                       |          | -               | 34,000         |
| ნასესხები სახსრების დაფარვა                                                            |          | -               | (34,000)       |
| კომპანიის აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები                                       | 14       | (29,960)        | -              |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირი თანხა                                            | 15       | (326)           | (456)          |
| <b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>                       |          | <b>(30,286)</b> | <b>(456)</b>   |
| ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა |          | 26              | (302)          |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>                           |          | <b>37,810</b>   | <b>15,000</b>  |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                |          | <b>8,694</b>    | <b>37,810</b>  |

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-40 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

*თორბე მთიურაშვილი*



## 1 შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა

შპს ტოიოტა კავკასია (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნდა 2006 წლის 18 იანვარს და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 236089273. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს) და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია.

კომპანიის უშუალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „ტოიოტა ცუშო კორპორეიშენი“ (Toyota Tsusho Corporation), რომელიც მისი 100% წილის მფლობელია. კომპანიას საშუალოდ 74 თანამშრომელი ჰყავდა (2020: 70).

კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომანქანებისა და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ მიყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისათვის. კომპანია საქმიანობას აწარმოებს კომპანიასა და Toyota Motor Corporation-ს შორის გაფორმებული სადისტრიბუციო შეთანხმების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც კომპანიას მინიჭებული აქვს ტოიოტას და ლექსუსის პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება. მხარეებს შორის გაფორმებული მიმდინარე დისტრიბუციის შეთანხმება ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპანიას გააჩნია წარმომადგენლობითი ოფისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ყაზბეგის ქ. #34, საქართველო, 0186, თბილისი.

**წარსადგენი ვალუტა.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია აშშ დოლარში (აშშ დოლარი), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

## 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს აგრძელებს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლების გამოვლენას, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი შესაბამისი ზომები COVID -19 -ის გავრცელებისა და მისი გავლენის შესაჩერებლად, როგორიცაა შეზღუდვები მგზავრობაზე, კარანტინი, თვითიზოლაცია და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობაზე, რაც მოიცავს დახურვასაც. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გლობალური ინფექციის გავრცელების დონე რჩება მაღალი, ვაქცინაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და არსებობს რისკი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები შემდგომ პერიოდებში, მათ შორის ვირუსის ახალი ვარიანტების გავრცელების გამო.

2021 წელს, საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაეხმარა გლობალური ეკონომიკის აღორძინება და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდა. თუმცა, საქართველოს და გლობალურ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში.

მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან.

ქეთევან ჭეიშყაძე

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდეგში „ფას“) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის გათვალისწინებით, როგორც მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. იხილეთ შენიშვნა 5.

ფას-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია.** კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს აშშ დოლარი (აშშ დოლარი). ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

**ოპერაციები და ნაშთები.** ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) კურსით. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსულობები და ზარალები, რომელიც წარმოქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ასევე წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში სებ-ის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის უწყისში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში, როგორც „უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შემოსულობა/(ზარალი), ნეტო“.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ, გაუფასურების ანარიცხებით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანუღირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს. გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ქეთევან ზეიწყაშვილი

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ცვეთა.** მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების გადასანაწილებლად, მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

|                          | სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში |
|--------------------------|-------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები        | 20 წელი                             |
| ავტომობილები             | 4 წელი                              |
| კომპიუტერული აღჭურვილობა | 2.5 წელი                            |
| საოფისე აღჭურვილობა      | 2.5 წელი                            |
| სხვა                     | 2.5 წელი                            |

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

**აქტივის გამოყენების უფლება.** კომპანია იჯარით იღებს ოფისს და საწყობს. კომპანია ხელშეკრულებით განსაზღვრულ საზღაურს მიაკუთვნებს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება იჯარიდან თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- იჯარის ხელშეკრულებით მოთხოვნილ ხარჯებს რომლებიც ითვალისწინებს აქტივის მოთხოვნილ მდგომარეობამდე აღდგენას.

აქტივის გამოყენების უფლება ზოგადად გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. აქტივის გამოყენების უფლების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში  
2-დან 3 წლამდე

**არამატერიალური აქტივები.** კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ ბუღალტრულ პროგრამულ უზრუნველყოფას. შეძენილი ბუღალტრული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-შენახვა, ხარჯებში აისახება გაწევისთანავე. პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 3 წლის განმავლობაში. გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გაყიდვის ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, უმაღლეს ღირებულებამდე.

ქეთევან ტყეშელაშვილი

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ფინანსური ინსტრუმენტები - მთავარი შეფასების პირობები.** რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე წარმოადგენს იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების მეთოდებს, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადი ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი რესურსი).

**გარიგების დანახარჯები** გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

**ამორტიზებული ღირებულება („AC“)** არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე.



### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება.** ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება ზარალის მეშვეობით (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რაც გამოიწვევს პირდაპირ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს საბაზრო კონვენციის ან რეგულაციის მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში მიწოდებას („რეგულარული გზით“ შესყიდვები და გაყიდვები) გატარდება იმ სავაჭრო თარიღით, რომელზეც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდებას ახორციელებს. ყველა სხვა შესყიდვები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები.** კომპანია ფინანსურ აქტივების კლასიფიცირებას ახორციელებს ამორტიზირებულ ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების კატეგორია დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე დაკავშირებული აქტივების მართვისას; (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი.** ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება „რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“.

კომპანიას აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიას მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა და როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება.

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები.** როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI"). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულება გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა. სადაც სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნიან რისკებს და მერყეობას, რომელიც არათანმიმდევრულია ძირითად სასესხო შეთანხმებასთან, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია და შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველ აღიარებაზე და შემდგომ აღარ ექვემდებარება ხელახალ შეფასებას.

**ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.** ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და აღირიცხება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.** კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და აღიარებს ფინანსურ აქტივებზე წმინდა გაუფასურების ზარალს ყოველ საანგარიშო პერიოდზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე. კომპანია სავაჭრო და იჯარის მოთხოვნების გაუფასურებისთვის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. 23-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, მათ შორის თუ როგორ აერთიანებს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

**ფინანსური აქტივები – ჩამოწერა.** ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და შემოსავალი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და შემოსავალი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ტოიოტა კავკასია

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ასევე შემდგომში, „ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“), გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ („FVTPL“): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემდგომში მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია მიენიჭა თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

**ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობა, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას („SPPI“) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არ აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასების კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არ აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, რომე შეიცვალოს კანონმდებლობა. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცემაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.** სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

*ქეთევან ჭეიშვილი*



### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**ნასესხები სახსრები.** ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგების დარიცხული დანახარჯების გარეშე და შემდგომში გატარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**იჯარის ვალდებულებები.** ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება იჯარიდან თავდაპირველად შეფასდება გადახდების დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს შემდგომი იჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნებით
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება მხოლოდ კომპანიას აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივს გამოყენების უფლებით, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო პერიოდში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს, დაკორექტირებულს ფინანსური პირობების ცვლილებების ასახვად, რადგან დაფინანსება მიღებულია მესამე მხარისგან;
- იყენებს მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და;
- ახორციელებს იჯარისთვის სპეციფიურ კორექტირებებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

კომპანია ექვემდებარება იჯარის ცვლადი გადახდების სამომავლო პოტენციურ ზრდას ინდექსზე ან განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც არ არის შეყვანილი იჯარის ვალდებულებაში, სანამ ისინი არ შევა ძალაში. როდესაც ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის გადახდების კორექტირებები ძალაში შევა, იჯარის ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტირდება გამოყენების უფლებით აქტივის საწინააღმდეგოდ.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

*ქეთევან ჭყავიჭყელი*

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: (ა) ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, (ბ) აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და (ც) წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით, აღირიცხება მუხლში “გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა” საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისთვის. ზოგადად, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სრული ოდენობით და წარდგენილია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. სადაც ანარიცხი მიღებულია მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, გაუფასურების ზარალი აღირიცხულია მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღე-ს ჩათვლით.

### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**მარაგები.** სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ავტომობილების ღირებულება განისაზღვრება უნიკალური იდენტიფიკატორის საფუძველზე, ხოლო სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მარაგების ღირებულება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას წარმოადგენს დადგენილი გასაყიდი ფასი ბიზნესის ნორმალური წარმოებისას, შემცირებული დასრულების ღირებულებითა და რეალიზაციის დადგენილი ხარჯებით.

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდვას დაქვემდებარებულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

**გადახდილი ავანსი.** გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და მაშინ როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

**საწესდებო კაპიტალი.** საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის სავალდებულო სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

ქეთევან ზეყუაშვილი



### 3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

**საქონლის გაყიდვა.** გაყიდვები აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი გადაცემულია, ანუ საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების მდგომარეობა ამოიწურა ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმში დაკმაყოფილდა. მსგავსი გაყიდვებიდან ამონაგები აღიარებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასებზე, დადგენილი ფასდაკლების მოცულობის ნეტოზე. დაგროვილი გამოცდილება გამოიყენება ფასდაკლებების დადგენისა და მიწოდებისთვის, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ იმ დონემდე, სადამდეც იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი უკუგება არ დადგება, მაღალია. დაფინანსების არანაირი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა 21 დღიანი საკრედიტო პირობით, რომლებიც საბაზრო პრაქტიკისთვისაა დამახასიათებელი. მოთხოვნა აღიარებულია მაშინ, როდესაც პროდუქტი მიწოდებულია, რადგანაც ეს ის დროის მონაკვეთია, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, იმიტომ, რომ მხოლოდ დროის გასვლაა მოთხოვნილი მანამ, სანამ გადახდის დრო მოვა.

თუ კომპანია კლიენტს გაუწევს რაიმე სახის დამატებით მომსახურებას მას შემდეგ, რაც კონტროლი საქონელზე გადაცემულია, ამონაგები მსგავსი მომსახურებიდან ითვლება ცალკე მოვალეობის შესრულებად და აღიარდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც მომსახურება გაიწევა.

**მომსახურების გაყიდვა.** კომპანია მომსახურებას ცვალებადფასიანი ხელშეკრულებების საფუძველზე ეწევა. კომპანია გადასცემს მომსახურებაზე კონტროლს დროის განმავლობაში და შესაბამისად აკმაყოფილებს შესრულების მოვალეობას დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე. თუ ეს ფასები პირდაპირ დაკვირვებადი არ არის, მაშინ ისინი შეფასდება მოსალოდნელი დანახარჯების და მარჟის დამატების საფუძველზე.

**ფინანსური კომპონენტები.** კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებიდან კლიენტთან და კლიენტის მიერ ამ საქონლის საფასურის გადახდის პერიოდი აჭარბებს 1 წელს. შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულებისთვის.

**მომუშავეთა გასამრჯელოები.** ანაზღაურება, ხელფასები, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული მომსახურება იქნა გაწეული კომპანიის თანამშრომლების მიერ.

**შესწორებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ.** ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ მოითხოვს იმ ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელმაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დაამტკიცა.

*ქეთევან ჭყავიშვილი*

#### 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

**დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება** ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები განმარტებულია მე-7 შენიშვნაში.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის** განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება,

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული დაშვებებისგან 10%-ით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 67 ათასი აშშ დოლარით ზრდა ან 55 ათასი აშშ დოლარით შემცირება.

**აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა.** იჯარის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს იჯარის პერიოდის გაგრძელების შესაძლებლობის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შესაძლებლობის შემდგომი პერიოდი) იჯარის პერიოდში მხოლოდ იმ შემთხვევაში არის გათვალისწინებული, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

**გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები** შეყვანილი კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. იჯარის პირობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ისეთ ეკონომიკურ წამახალისებელს, რომელიც საშუალებას იძლევა ან გაგრძელების შესაძლებლობის გამოყენების, ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოყენების. გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის შემდეგ პერიოდის შესაძლებლობები) შეყვანილია მხოლოდ იჯარის იმ პირობაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა შეიძლება გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს).

*ქეთევან ჭყავიშვილი*

#### 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

შენიშვნა ნაგებობების იჯარისთვის, ჩვეულებრივ, ყველაზე რელევანტური შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტის შემთხვევაში (ან არ გაგრძელების) კომპანიას, ჩვეულებრივ, გააჩნია გონივრული რწმუნება გაგრძელების შესახებ (ან არ შეწყვეტის)
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, რაც მოიცავს ისტორიულ იჯარის ხანგრძლივობას და ღირებულებას და წარმოების შეჩერებას, რომელიც მოითხოვება იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად გამოყენებულია (ან არ არის გამოყენებული) ან, თუ კომპანია ხდება ვალდებული გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს) ის. გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელოვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება. ერთი წლის განმავლობაში გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონების გავლენის ასახვისთვის იჯარის პირობების გადახედვის ფინანსური ეფექტი იქნებოდა ზრდა ან შემცირება 223 ათასი აშშ დოლარის ოდენობით აღიარებული იჯარის ვალდებულებებში და გამოყენების უფლებით აქტივებში.

**იჯარის ვალდებულების განსაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი.** კომპანია იყენებს მის დისკრეციულ სასესხო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშების საფუძველს, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს.

დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედეგად გამოიღებდა იჯარის ვალდებულებების ზრდას 1 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2021 წლის 1 იანვარი: ათასი აშშ დოლარი).

*ხათუნა ზეიწყაშვილი*



## 5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი შესწორებული სტანდარტები რომლებიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს, თუმცა არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიაზე არის შემდეგი:

**საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- IBOR-ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR-ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის ბს.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვევებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშლავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე-2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშლავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- ჰეჯირების ურთიერთობებში არასახელშეკრულებოდ განსაზღვრული რისკის კომპონენტების პირველი ფაზის შეღავათის დასრულების თარიღი: მე-2 ფაზის შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმომ შეწყვიტოს 1 ფაზის შეღავათების გამოყენება არასახელშეკრულებოდ განსაზღვრულ რისკის კომპონენტზე ცვლილებების განხორციელების ორი თარიღიდან უფრო ადრინდელი თარიღით, არასახელშეკრულებოდ განსაზღვრულ რისკის კომპონენტზე, ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა შეწყვეტილია. რისკის კომპონენტების პირველი ფაზის შესწორებებში არ იყო გათვალისწინებული დასრულების თარიღი.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე-2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR-ის რეფორმა.
- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

*ქეთევან ზეიწყაშვილი*

5 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

**IBOR-ის რეფორმის გავლენა.** სხვადასხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

**Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები - შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** 2020 წლის მაისში გამოცემულ იქნა ფასს 16-ის შესწორება, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებული შესწორებით გაგრძელდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თარიღი 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

**ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).** ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ძალაში შესვლის თარიღი შემდგომში მოდიფიცირდა 2021 წლის 1 იანვრით ფასს 17-ის შესწორებით, როგორც ეს განხილულია ქვემოთ).** ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქეთევან ზეიდაშვილი



6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

ქეთევან ზეიწყაშვილი

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- **სხვა შესწორებები:** სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).** ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესულია იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).** ბასს 1-ის შესწორებები ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირების შესახებ გამოიცა 2020 წლის იანვარში და მისი ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა 2022 წლის 1 იანვრამდე. Covid-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების შედეგად კლასიფიკაციის ცვლილების დაწერგვისთვის მეტი დრო ჰქონდეთ. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ქეთევან ზეიოძე*

## 6 საზუღალო ადრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან, საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას.

აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას, სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ასს 37 ან ფასს 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებები და საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის, ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზნობა იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ქეთევან ჭყავჭავაძე



**6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)**

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

*ქეთევან ჭყუაშვილი*

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

**გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შედავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შედავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

**გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამოებები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მიზნით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ ამ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

*ქეთევან მუხომცხი*

## 7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშუალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე განმარტებულია პირველ შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი               | საერთო კონტროლს<br>უშუალო მშობელი კომპანია დაქვემდებარებული საწარმოები |
|--------------------------------|------------------------------------------------------------------------|
| სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა | 423                                                                    |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები     | 750                                                                    |
| სავაჭრო და სხვა დავალიანება    | (31,048) (1,226)                                                       |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი               | საერთო კონტროლს<br>უშუალო მშობელი კომპანია დაქვემდებარებული საწარმოები |
|--------------------------------|------------------------------------------------------------------------|
| სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა | 654                                                                    |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები     | 750                                                                    |
| სავაჭრო და სხვა დავალიანება    | (14,624) (1,220)                                                       |

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

| ათასი აშშ დოლარი                                   | საერთო კონტროლს<br>უშუალო მშობელი კომპანია დაქვემდებარებული საწარმოები |
|----------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|
| სხვა შემოსავალი                                    | 17                                                                     |
| საგარანტიო მოთხოვნები (გაყიდვების თვითღირებულება)  | (85)                                                                   |
| სადაზღვევო მოთხოვნები                              | 11                                                                     |
| საქონლის შესყიდვა                                  | (162,017) (9,205)                                                      |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები | (9) (85)                                                               |
| სხვა მომსახურებები                                 | (7) (631)                                                              |
| საპროცენტო დანახარჯი                               | -                                                                      |

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

| ათასი აშშ დოლარი                                   | საერთო კონტროლს<br>უშუალო მშობელი კომპანია დაქვემდებარებული საწარმოები |
|----------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|
| სხვა შემოსავალი                                    | 13 77                                                                  |
| საგარანტიო მოთხოვნები (გაყიდვების თვითღირებულება)  | (1,165)                                                                |
| სადაზღვევო მოთხოვნები                              | 186                                                                    |
| საქონლის შესყიდვა                                  | (123,738) (7,356)                                                      |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები | - (98)                                                                 |
| სხვა მომსახურებები                                 | - (132)                                                                |
| საპროცენტო დანახარჯი                               | - (114)                                                                |

ბიუჯეტის დამტკიცება



**7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

**ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია.** კომპენსაცია, რომელიც ხელმძღვანელ პირებზე გაიცემა მათ მიერ გაწეული მომსახურებისთვის, სრული განაკვეთით აღმასრულებელი მმართველების პოზიციაზე, შეყვანილია თანამშრომლების ხარჯებში მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 617 ათას აშშ დოლარსა და 594 ათას აშშ დოლარს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად.

**8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი                                       | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობა | ავტომო-<br>ბილები | კომპიუტ.<br>აღჭურვი-<br>ლობა | საოფისე<br>აღჭურვი-<br>ლობა | სხვა     | არამატერია-<br>ლური<br>აქტივები | დაუმთავრებ-<br>ელი<br>შენებლობა | სულ           |
|--------------------------------------------------------|--------------------------------|-------------------|------------------------------|-----------------------------|----------|---------------------------------|---------------------------------|---------------|
| ღირებულება 2020 წლის 1<br>იანვრის მდგომარეობით         | 7,239                          | 886               | 170                          | 121                         | 26       | 1,007                           | -                               | 9,449         |
| დაგროვილი ცვეთა                                        | (183)                          | (280)             | (124)                        | (18)                        | (20)     | (78)                            | -                               | (703)         |
| <b>საბალანსო ღირებულება 2020<br/>წლის 1 იანვარს</b>    | <b>7,056</b>                   | <b>606</b>        | <b>46</b>                    | <b>103</b>                  | <b>6</b> | <b>929</b>                      | -                               | <b>8,746</b>  |
| დამატებები                                             | -                              | 149               | 97                           | 38                          | -        | 663                             | 1,648                           | 2,595         |
| გასვლები/ჩამოწერები                                    | (308)                          | (125)             | (126)                        | (11)                        | (16)     | (65)                            | -                               | (651)         |
| ცვეთის ხარჯი                                           | -                              | (176)             | (39)                         | (49)                        | (1)      | (139)                           | -                               | (404)         |
| ცვეთის ხარჯი გასვლიდან                                 | 222                            | 67                | 125                          | 10                          | 13       | 65                              | -                               | 502           |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერს<br/>საბალანსო ღირებულება</b> | <b>6,970</b>                   | <b>521</b>        | <b>103</b>                   | <b>91</b>                   | <b>2</b> | <b>1,453</b>                    | <b>1,648</b>                    | <b>10,788</b> |
| ღირებულება 2021 წლის 1<br>იანვრის მდგომარეობით         | 6,931                          | 910               | 141                          | 148                         | 10       | 1,605                           | 1,648                           | 11,393        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | 39                             | (389)             | (38)                         | (57)                        | (8)      | (152)                           | -                               | (605)         |
| <b>საბალანსო ღირებულება 2021<br/>წლის 1 იანვარს</b>    | <b>6,970</b>                   | <b>521</b>        | <b>103</b>                   | <b>91</b>                   | <b>2</b> | <b>1,453</b>                    | <b>1,648</b>                    | <b>10,788</b> |
| დამატებები                                             | 27                             | 185               | 62                           | 77                          | -        | 753                             | 2,770                           | 3,874         |
| ტრანსფერები                                            | 3,637                          | -                 | -                            | 781                         | -        | -                               | (4,418)                         | -             |
| გასვლები/ჩამოწერები                                    | -                              | (308)             | (39)                         | (100)                       | -        | (14)                            | -                               | (461)         |
| ცვეთის ხარჯი                                           | (76)                           | (188)             | (61)                         | (88)                        | (1)      | (203)                           | -                               | (617)         |
| ცვეთის ხარჯი გასვლიდან                                 | -                              | 241               | 39                           | 20                          | -        | 14                              | -                               | 314           |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერს<br/>საბალანსო ღირებულება</b> | <b>10,558</b>                  | <b>451</b>        | <b>104</b>                   | <b>781</b>                  | <b>1</b> | <b>2,003</b>                    | <b>-</b>                        | <b>13,898</b> |
| ღირებულება 2021 წლის 31<br>დეკემბერს                   | 10,596                         | 787               | 164                          | 906                         | 10       | 2,344                           | -                               | 14,807        |
| დაგროვილი ცვეთა                                        | (37)                           | (336)             | (60)                         | (125)                       | (9)      | (341)                           | -                               | (908)         |
| <b>საბალანსო ღირებულება 2021<br/>წლის 31 დეკემბერს</b> | <b>10,559</b>                  | <b>451</b>        | <b>104</b>                   | <b>781</b>                  | <b>1</b> | <b>2,003</b>                    | <b>-</b>                        | <b>13,899</b> |

2019 წელს კომპანიამ დაიწყო ავტოლაში მდებარე მიწის ნაკვეთზე მანქანების სადგომისა და სათადარიგო ნაწილების საწყობის მშენებლობა. მშენებლობის პროცესი 2021 წლის აპრილში დასრულდა.

ქეთევან ჭეიშყაძე

## 9 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია იჯარით იღებს საოფისე და საწყობის ფართებს. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგენილია ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში - ორიდან სამ წლამდე, მაგრამ შესაძლებელია გააჩნდეს გაგრძელების/შეწყვეტის შესაძლებლობაც.

| ათასი აშშ დოლარი                                         | შენიშვნა-ნაგებობები |
|----------------------------------------------------------|---------------------|
| საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს                 | 1,130               |
| ცვეთის ხარჯი                                             | (452)               |
| სხვა (იჯარის ფარგლების შემცირება)                        | (280)               |
| საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 398                 |
| ცვეთის ხარჯი                                             | (301)               |
| სხვა (იჯარის ფარგლების შემცირება)                        | (25)                |
| საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 72                  |

კომპანიის მიერ აღიარებული საიჯარო ვალდებულებები შემდეგია:

| აშშ დოლარი                         | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|------------------------------------|------------------------|------------------------|
| მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები | 94                     | 341                    |
| გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები |                        | 104                    |
| სულ საიჯარო ვალდებულებები          | 94                     | 445                    |

ფინანსურ ხარჯებში შესულმა საპროცენტო დანახარჯებმა 2021 წელს შეადგინა 17 ათასი აშშ დოლარი. საიჯარო ვალდებულებებისთვის ფულადი სახსრების გადინებამ 2021 წელს შეადგინა 343 ათასი აშშ დოლარი.

## 10 სხვა გრძელვადიანი აქტივები

| ათასი აშშ დოლარი                                         | 2021 | 2020 |
|----------------------------------------------------------|------|------|
| შეზღუდული ფულადი სახსრები                                | 750  | 750  |
| სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით | 750  | 750  |

შეზღუდული ფულადი სახსრები წარმოადგენს კომპანიის მიმწოდებლისათვის ავანსად გადახდილ თანხებს განუსაზღვრელი დროით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გადახდების უსაფრთხოება სამომავლო საქონლის შესყიდვისთვის.

ქეთევან ზეიწყაძე



## 11 მარაგები

| ათასი აშშ დოლარი                 | 2021          | 2020         |
|----------------------------------|---------------|--------------|
| საქონელი გზაში                   | 27,831        | 3,841        |
| გასაყიდი ავტომობილები            | 3,479         | 3,526        |
| სათადარიგო ნაწილები              | 1,919         | 1,695        |
| სხვა                             | 15            | 7            |
| <b>სულ მარაგები 31 დეკემბერს</b> | <b>33,244</b> | <b>9,069</b> |

მარაგების ნაშთი წარდგენილია თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

## 12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| ათასი აშშ დოლარი                                                | 2021         | 2020         |
|-----------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                              | 1,190        | 3,211        |
| სხვა ფინანსური მოთხოვნები                                       | 138          | 381          |
| შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით                         | -            | -            |
| <b>სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში</b>       | <b>1,328</b> | <b>3,592</b> |
| ავანსად გადახდილი                                               | 578          | 1,563        |
| შემცირებული გაუფასურების ანარიცხით                              | -            | -            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>1,906</b> | <b>5,155</b> |

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიებით, რომელიც კლიენტების (ავტომობილების დილერები) მიერ არის მოწოდებული. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარანტირებული თანხა შეადგენდა 1,190 ათას აშშ დოლარს (2020: 3,211 ათასი აშშ დოლარი).

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის ღირებულების წარდგენით ცალკე (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა უტოლდება ან აჭარბებს აქტივის საბალანსო ღირებულებას („ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა უფრო მცირეა, ვიდრე აქტივის საბალანსო ღირებულება („არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები“). უზრუნველყოფის გავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

| ათასი აშშ დოლარი                                             | ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები |                                  |
|--------------------------------------------------------------|--------------------------------|----------------------------------|
|                                                              | აქტივების საბალანსო ღირებულება | უზრუნველყოფის რეალური ღირებულება |
| მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია:<br>- საბანკო გარანტიით | 1,190                          | 9,400                            |

ქეთევან ბუიურაძე

## 12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის გავლენა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ათასი აშშ დოლარი                                             | ქარბად უზრუნველყოფილი აქტივები    |                                   |
|--------------------------------------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
|                                                              | აქტივების საბალანსო<br>ღირებულება | აქტივების საბალანსო<br>ღირებულება |
| მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია:<br>- საბანკო გარანტიით | 3,211                             | 9,550                             |

## 13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| ათასი აშშ დოლარი                                                       | 2021  | 2020   |
|------------------------------------------------------------------------|-------|--------|
| მოთხოვნისთანავე გადასახადელი საბანკო ნაშთები                           | 8,694 | 37,810 |
| სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | 8,694 | 37,810 |

ფულადი სახსრები ბანკში ინახება საქართველოს საუკეთესო ბანკებში, რომელთაგან ყველას გააჩნია "BB- რეიტინგი" Fitch რეიტინგების საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისათვის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები შეყვანილია 1 ეტაპში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისათვის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნულის ტოლია. საქართველოს ბანკებში არსებული ფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში გამოიმუშავენ საშუალოდ 1 %-დან 2 %-მდე ყოველწლიურად, ხოლო ქართულ ლარში დენომინირებული ფულადი სახსრები - 10%-დან 11%-მდე.

## 14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100% ფლობილია „ტოიოტა ცუშო კორპორაციის“ მიერ და კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბრის: 10 მილიონი აშშ დოლარი). 2021 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2020: ნული).

ქეთევან ზეუზაძე

## 15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები:

| ათასი აშშ დოლარი                                                  | 2021 წლის 31 დეკემბერს<br>დასრულებული წელი |                          |       | 2020 წლის 31 დეკემბერს<br>დასრულებული წელი |                            |          |
|-------------------------------------------------------------------|--------------------------------------------|--------------------------|-------|--------------------------------------------|----------------------------|----------|
|                                                                   | ნასესხები<br>სახსრები                      | საიჯარო<br>ვალდებულებები | სულ   | ნასესხები<br>სახსრები                      | , საიჯარო<br>ვალდებულებები | სულ      |
| <b>ვალდებულებები საფინანსო<br/>საქმიანობიდან 1 იანვარს</b>        | -                                          | 445                      | 445   | -                                          | 1,173                      | 1,173    |
| <b>ფულადი ნაკადები</b>                                            |                                            |                          |       |                                            |                            |          |
| სესხის ათვისება                                                   | -                                          | -                        | -     | 34,000                                     | -                          | 34,000   |
| ძირი თანხის დაფარვა                                               | -                                          | (326)                    | (326) | (34,000)                                   | (456)                      | (34,456) |
| გადახდილი პროცენტი                                                | -                                          | (17)                     | (17)  | (144)                                      | (52)                       | (196)    |
| <b>არაფულადი ცვლილებები</b>                                       |                                            |                          |       |                                            |                            |          |
| დარიცხული პროცენტი                                                | -                                          | 17                       | 17    | 144                                        | 52                         | 196      |
| იჯარის ფარგლების<br>შემცირება                                     | -                                          | (25)                     | (25)  | -                                          | (272)                      | (272)    |
| <b>ვალდებულებები საფინანსო<br/>საქმიანობიდან 31<br/>დეკემბერს</b> | -                                          | 94                       | 94    | -                                          | 445                        | 445      |

## 16 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

| ათასი აშშ დოლარი                                                                               | 2021          | 2020          |
|------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| სავაჭრო და სხვა დავალიანებები                                                                  | 32,154        | 15,168        |
| საგარანტიო შეთანხმებით გათვალისწინებული დავალიანება                                            | 1,096         | 1,220         |
| <b>სულ ფინანსური დავალიანება სავაჭრო და სხვა დავალიანებებში<br/>ამორტიზირებული ღირებულებით</b> | <b>33,250</b> | <b>16,388</b> |
| მიღებული ავანსები                                                                              | 140           | 41            |
| <b>სავაჭრო და სხვა დავალიანებები 31 დეკემბერს</b>                                              | <b>33,390</b> | <b>16,429</b> |

თეიმურაზ ზეზუაძე

## 17 მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები

კომპანია აწარმოებს ამონაგებს საქონლის და მომსახურების გადაცემის შედეგად დროის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მონაკვეთში შემდეგი მსხვილი სასაქონლო ხაზებით:

| ათასი აშშ დოლარი                                                   | 2021           | 2020           |
|--------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ავტომობილების რეალიზაცია                                           | 156,605        | 157,767        |
| სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია                                    | 10,655         | 8,583          |
| სატრანსპორტო მომსახურება                                           | 1,213          | 1,128          |
| კატალოგების და სახელმძღვანელოების რეალიზაცია                       | 36             | 44             |
| გაყიდვის საკომისიო                                                 | (25)           | (35)           |
| <b>სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b> | <b>168,484</b> | <b>167,487</b> |

ამონაგების აღიარების დრო (ამონაგების ყველა წყაროსთვის) არის შემდეგი:

| ათასი აშშ დოლარი                                                   | 2021           | 2020           |
|--------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| დროის გარკვეულ მონაკვეთში                                          | 167,271        | 166,359        |
| დროის განმავლობაში                                                 | 1,213          | 1,128          |
| <b>სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b> | <b>168,484</b> | <b>167,487</b> |

## 18 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

| ათასი აშშ დოლარი                                  | 2021           | 2020           |
|---------------------------------------------------|----------------|----------------|
| ავტომობილების ღირებულება                          | 138,302        | 143,036        |
| სათადარიგო ნაწილების ღირებულება                   | 8,067          | 6,491          |
| სატრანსპორტო მომსახურება                          | 1,337          | 1,254          |
| კატალოგების და სახელმძღვანელოების ღირებულება      | 33             | 38             |
| მარაგების გაუფასურების ანარიცხი/(აღდგენა), წმინდა | (49)           | 96             |
| <b>სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</b>    | <b>147,690</b> | <b>150,915</b> |

## 19 სადისტრიბუციო ხარჯები

| აშშ დოლარი                                                                                 | 2021         | 2020         |
|--------------------------------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| თანამშრომელთა ხელფასისა და სარგებლის ხარჯები                                               | 1,828        | 1,811        |
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება                                                      | 1,825        | 1,228        |
| ავტომობილის სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატის საფასური | 554          | 75           |
| საბაჟო ხარჯები                                                                             | 64           | 222          |
| <b>სულ სადისტრიბუციო ხარჯები</b>                                                           | <b>4,271</b> | <b>3,336</b> |

ქეთევან ბუიურჭული

**20 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

| ათასი აშშ დოლარი                             | 2021         | 2020         |
|----------------------------------------------|--------------|--------------|
| პერსონალის ხელფასისა და სარგებლის ხარჯი      | 1,095        | 1,404        |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                 | 617          | 404          |
| საბანკო ხარჯები                              | 349          | 270          |
| აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა          | 301          | 452          |
| სატელეკომუნიკაციო ხარჯები                    | 264          | 177          |
| საოფისე ხარჯები                              | 155          | 104          |
| პროფესიონალური მომსახურების საფასური *       | 127          | 177          |
| იჯარის ხარჯი                                 | 124          | 84           |
| საწვავის ხარჯი                               | 104          | 81           |
| კომუნალური ხარჯები                           | 58           | 41           |
| მოგზაურობის ხარჯი                            | 37           | 44           |
| დაზღვევის ხარჯი                              | 36           | 64           |
| უსაფრთხოების მომსახურება                     | 32           | 30           |
| სხვა                                         | 120          | 166          |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>3,419</b> | <b>3,498</b> |

(\*) პროფესიული მომსახურება მოიცავს 95 ათას აშშ დოლარს (2020: 113 ათასი აშშ დოლარი) - რაც წარმოადგენს აუდიტისა და სხვა მომსახურების საფასურს, რომელიც მოწოდებულია აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მიერ.

**21 სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო**

| ათასი აშშ დოლარი                                           | 2021         | 2020         |
|------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| სხვა შემოსავალი                                            | 147          | 149          |
| შემოსავალი გაწეული სატრანსპორტო მომსახურებიდან             | 13           | 6            |
| იჯარის მოდიფიკაციის შედეგად მიღებული შემოსულობა/(ზარალი)   | -            | (8)          |
| წმინდა შემოსულობა/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გასვლიდან | -            | (65)         |
| გადასახადები მოგების გადასახადის გარდა                     | (118)        | (82)         |
| სხვა ხარჯები                                               | (214)        | (102)        |
| დღგ-ს ხარჯი                                                | (229)        | (252)        |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო</b>                   | <b>(401)</b> | <b>(354)</b> |

ქეთევან ტყეშელაშვილი

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და დაიცავს კომპანიის პოზიციას საგადასახადო კუთხით. შესაბამისად, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს ასახული არ ყოფილა ანარიცხი პოტენციური საგადასახადო ვალდებულებისთვის.

**დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი.** 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 15,432 ათასი აშშ დოლარი (2020: 37,288 აშშ დოლარი). მფლობელებზე გადასახდელ დივიდენდის თანხასთან ერთად კომპანიას ეკისრება შესაბამისი მოგების გადასახადის გადახდა. მფლობელებისთვის გადახდილი იქნა დივიდენდის თანხა 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და ასევე შესაბამისი მოგების გადასახადი 5.318 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

**სასამართლო დავა.** საანგარიშგებო თარიღით კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სასამართლო დავის საფრთხის შესახებ, ანუ ფინანსური ანგარიშგების თარიღით არ არსებობს სასამართლო დავის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

**კლიმატის ცვლილების გათვალისწინება.** კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, როდესაც ის გამოიცემა იმ ბაზრებისთვის, რომლებშიც კომპანია ოპერირებს.

ბიზნეს გეგმები



23

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამოიყენება იმის უზრუნველყოფისთვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საკრედიტო რისკი.** კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**საკრედიტო რისკის მართვა.** საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. საკრედიტო რისკის შეფასება რისკის მართვისთვის ეყრდნობა მხოლოდ საკრედიტო რისკის ანალიზს. ხელმძღვანელობა აწესებს ზღვრებს ყველა კლიენტისთვის/დილერისთვის და ითხოვს საბანკო გარანტიებს, როგორც გირაოს, გასანაღდეგელი მოთხოვნების ნაშთებისთვის. სავაჭრო მოთხოვნები უზრუნველყოფილია საგარანტიო თანხებით.

**ზღვრები.** საკრედიტო ზღვრები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს და მტკიცდება მის მიერ. საკრედიტო რისკის წარმოქმნის მონიტორინგისთვის, ხორციელდება რეგულარული ანგარიშები, რომლებიც ემყარება სტრუქტურირებულ ანალიზს კლიენტის ბიზნესსა და ფინანსურ წარმადობაზე. ხელმძღვანელობა განიხილავს და ახორციელებს ანგარიშს ნებისმიერ მნიშვნელოვან ურთიერთკავშირზე უარყოფითი კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს პარტნიორების წარმადობას და აკვირდება მათ ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (ECL).** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეიტინგი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვეზე მეტ პერიოდზე 2021 წლის 31 დეკემბრამდე ან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის რეიტინგები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, დაფარონ მოთხოვნები.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

**საბაზრო რისკი.** კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

რეზონანსი



## 23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში, მისი მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

| ათასი აშშ დოლარი | 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                                    |                          | 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                                    |                          |
|------------------|-------------------------------------|------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|------------------------------------|--------------------------|
|                  | მონეტარული ფინანსური აქტივები       | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა საბალანსო პოზიცია | მონეტარული ფინანსური აქტივები       | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა საბალანსო პოზიცია |
| ქართული ლარი     | 15                                  | (69)                               | (54)                     | 189                                 | (45)                               | 144                      |
| ევრო             | 25                                  | (1,226)                            | (1,201)                  | -                                   | (1,221)                            | (1,221)                  |
| სხვა             | -                                   | (82)                               | (82)                     | -                                   | (48)                               | (48)                     |
| <b>სულ</b>       | <b>40</b>                           | <b>(1,377)</b>                     | <b>(1,337)</b>           | <b>189</b>                          | <b>(1,314)</b>                     | <b>(1,125)</b>           |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები უცვლელია:

| ათასი აშშ დოლარი                  | 2021                   |                   | 2020                   |                   |
|-----------------------------------|------------------------|-------------------|------------------------|-------------------|
|                                   | გავლენა მოგება ზარალზე | გავლენა კაპიტალზე | გავლენა მოგება ზარალზე | გავლენა კაპიტალზე |
| ქართული ლარის გამყარება 10% -ით   | (5)                    | (5)               | 14                     | 12                |
| ქართული ლარის გაუფასურება 10% -ით | 5                      | 5                 | (14)                   | (12)              |
| ევროს გამყარება 10%-ით            | (120)                  | (102)             | (122)                  | (104)             |
| ევროს გაუფასურება 10% -ით         | 120                    | 102               | 122                    | 104               |
| სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით     | (8)                    | (7)               | (5)                    | (4)               |
| სხვა ვალუტის გაუფასურება 10%-ით   | 8                      | 7                 | 5                      | 4                 |

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და ზღვრებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე. კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს და მისი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ ექვემდებარება სახელშეკრულებო პროცენტის ფასის ხელახალ დადგენას.

ქეთევან ზუიკოშვილი

**23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე.

კომპანია ცდილობს დაფინანსების სტაბილური საფუძვლის შენარჩუნებას, რაც ძირითადად სავაჭრო და სხვა დავალიანებებს და საიჯარო ვალდებულებებს მოიცავს. კომპანია თანხების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დიფერენცირებულ პორტფელში, იმისათვის, რომ უნარი ჰქონდეს სწრაფად და უპრობლემოდ უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 13). ხელმძღვანელობა აფასებს იმას, რომ ლიკვიდურობის პორტფელის ფულადი სახსრები და საბანკო დეპოზიტები შეიძლება რეალიზებული იყოს ნაღდ ფულზე, ერთ დღეში, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაფარად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულებებს, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში გამჟღავნებულია თანხები, რომლებიც სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია და მოიცავს მთლიან ფინანსური იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური დარიცხვების გამოქვითვის გარეშე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხებისგან, იმიტომ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამყარებულია არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

| ათასი აშშ დოლარი                                                                                        | მოთხოვნა<br>და 1 თვეზე<br>ნაკლები | 1-დან 3<br>თვემდე | 3-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან<br>5 წლამდე | 5 წლის<br>ზემოთ | სულ           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|-------------------|--------------------|-----------------------|-----------------|---------------|
| <b>ვალდებულებები</b>                                                                                    |                                   |                   |                    |                       |                 |               |
| იჯარის ვალდებულებები<br>(შენიშვნა 9)                                                                    | (19)                              | (38)              | (37)               | -                     | -               | (94)          |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები (შენიშვნა 16)                                                          | 33,250                            | -                 | -                  | -                     | -               | 33,250        |
| <b>სულ სამომავლო გადახდები,<br/>სამომავლო ძირითადი თანხების<br/>და პროცენტის გადახდების<br/>ჩათვლით</b> | <b>33,231</b>                     | <b>(38)</b>       | <b>(37)</b>        | <b>-</b>              | <b>-</b>        | <b>33,156</b> |

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

| ათასი აშშ დოლარი                                                                                        | მოთხოვნა<br>და 1 თვეზე<br>ნაკლები | 1-დან 3<br>თვემდე | 3-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან<br>5 წლამდე | 5 წლის<br>ზემოთ | სულ           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|-------------------|--------------------|-----------------------|-----------------|---------------|
| <b>ვალდებულებები</b>                                                                                    |                                   |                   |                    |                       |                 |               |
| იჯარის ვალდებულებები<br>(შენიშვნა 9)                                                                    | (40)                              | (80)              | (221)              | (104)                 | -               | (445)         |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები (შენიშვნა 16)                                                          | 16,388                            | -                 | -                  | -                     | -               | 16,388        |
| <b>სულ სამომავლო გადახდები,<br/>სამომავლო ძირითადი თანხების<br/>და პროცენტის გადახდების<br/>ჩათვლით</b> | <b>16,348</b>                     | <b>(80)</b>       | <b>(221)</b>       | <b>(104)</b>          | <b>-</b>        | <b>15,943</b> |

ქეთევან ზეიწყაშვილი

## 24 კაპიტალის მართვა

**კაპიტალის მართვა.** კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისთვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჯანსაღ ლიკვიდურობის კოეფიციენტს სამუშაო კაპიტალის ეფექტური მართვით, როდესაც წლიური დივიდენდები უკვე გადახდილია. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას და შეფასებულია 25,432 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2020: 47,288 ათასი აშშ დოლარი).

კომპანიას არ გააჩნია გარედან დაკისრებული მოთხოვნები კაპიტალზე.

## 25 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების ხერხების გამოყენებას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისთვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელთ არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად და სჯერა, რომ მისი მოკლევადიანი მოთხოვნებისა და დავალიანებების რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

**აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, მაგრამ რომლებისთვისაც რეალური ღირებულება შეფასებულია**

იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

## 25 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

|                                               | 2021 წლის 31 დეკემბერი |              |              |                         | 2020 წლის 31 დეკემბერი |              |              |                         |
|-----------------------------------------------|------------------------|--------------|--------------|-------------------------|------------------------|--------------|--------------|-------------------------|
|                                               | 1-ლი<br>დონე           | მე-2<br>დონე | მე-3<br>დონე | საბალანსო<br>ღირებულება | 1-ლი<br>დონე           | მე-2<br>დონე | მე-3<br>დონე | საბალანსო<br>ღირებულება |
| <i>ათასი აშშ დოლარი</i>                       |                        |              |              |                         |                        |              |              |                         |
| <b>აქტივები</b>                               |                        |              |              |                         |                        |              |              |                         |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                     |                        |              |              |                         |                        |              |              |                         |
| ამორტიზირებული<br>ღირებულებით                 |                        |              |              |                         |                        |              |              |                         |
| - ფულადი სახსრები<br>და მათი<br>ეკვივალენტები | -                      | 8,694        | -            | 8,694                   | -                      | 37,810       | -            | 37,810                  |
| - სავაჭრო მოთხოვნები                          | -                      | -            | 1,190        | 1,190                   | -                      | -            | 3,211        | 3,211                   |
| - სხვა ფინანსური<br>მოთხოვნები                | -                      | -            | 138          | 138                     | -                      | -            | 381          | 381                     |
| - სხვა გრძელვადიანი<br>აქტივები               | -                      | -            | 750          | 750                     | -                      | -            | 750          | 750                     |
| <b>სულ აქტივები</b>                           | -                      | 8,694        | 2,078        | 10,772                  | -                      | 37,810       | 4,342        | 42,152                  |
| <b>ვალდებულებები</b>                          |                        |              |              |                         |                        |              |              |                         |
| <b>სხვა ფინანსური<br/>ვალდებულებები</b>       |                        |              |              |                         |                        |              |              |                         |
| - სავაჭრო<br>დავალიანებები                    | -                      | -            | 33,250       | 33,250                  | -                      | -            | 16,388       | 16,388                  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | -                      | -            | 33,250       | 33,250                  | -                      | -            | 16,388       | 16,388                  |

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება დადგინდა როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი.

არაკოტირებული, ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები.** მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

*ქეთევან ზეიწყაძე*



## 25 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები.** სავაჭრო და სხვა ვალდებულებები რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. იმ ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც დასაფარია მოთხოვნამდე ან შეტყობინების შემდგომ პერიოდში („მოთხოვნადი ვალდებულებები“) შეადგენს მოთხოვნამდე გადასახდელ თანხას, დისკონტირებულს იმ პირველი თარიღიდან, როდესაც თანხის გადახდა შესაძლოა მოთხოვნილი იყოს. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები მერყეობს წლიური 7.8%-დან წლიურ 8 %-მდე, ვალდებულების ხანგრძლივობის და ვალუტის მიხედვით.

## 26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღიარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

## 27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

**საბოლოო მომხმარებლისთვის დამატებითი გარანტიის გაცემა.** საანგარიშგებო თარიღის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა მომდევნო 7 წლის ვადით, საბოლოო მომხმარებლისთვის დამატებითი გარანტიის გაცემის შესახებ. ახალი გარანტიები შეიძლება მიენიჭოს შეთანხმების თარიღამდე 10 წლით ადრე გაყიდული მანქანების მფლობელებს. საგარანტიო ღირებულება ჩაირთვება გადასაყიდი ავტომობილების ღირებულებაში, რაც შესაბამისად, გავლენას მოახდენს კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და ვალდებულებებზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ხელმძღვანელობას არ აქვს შესაძლებლობა შეაფასოს ამ მოვლენის ფინანსური ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქეთევან ჭყუაშვილი

## შპს ტოიოტა კავკასია

### მმართველობის ანგარიშგება

#### 1 კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2021:

**ზოგადი ინფორმაცია:** შპს ტოიოტა კავკასია („კომპანია“) მდებარეობს საქართველოში. იგი დაარსდა 2006 წლის 18 იანვარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს) და დაფუძნდა საქართველოს რეგულაციების მიხედვით.

კომპანიის უშუალო მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ტოიოტა ცუშო კორპორეიშენია, რომელიც აქციების 100% -ის მფლობელია.

**ძირითადი საქმიანობა** კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტასა და ლექსუს ბრენდის ავტომანქანებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ მიყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისთვის. კომპანია მოქმედებს ტოიოტა მტორ ევროპისა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმების მიხედვით, რის საფუძველზეც კომპანიას ენიჭება ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება ტოიოტასა და ლექსუსის პროდუქციის გაყიდვაზე.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ყაზბეგის ქ. #34, საქართველო, 0186, თბილისი.

**კომპანიის მისია.** შპს ტოიოტა კავკასია, როგორც ტოიოტას გლობალური ჯგუფის ნაწილი, მშობელი საწარმოს შიდა პოლიტიკისა და კულტურული ღირებულებების მიმდევარია. ტოიოტას ბრენდის ფილოსოფია ყოველთვის უკეთესი მანქანების დამზადებაა, იმისათვის, რომ გულახდილობისა პატივისცემის ცნებებზე დაყრდნობით, კავკასიის რეგიონის კლიენტების ცხოვრება გაამდიდროს. ეს, სამომავლოდ განვითარებადი და ჯანსაღი ურთიერთობების შენარჩუნებას ნიშნავს, ზრდად მრავალფეროვან კლიენტებთან და ადგილობრივ გაერთიანებებთან სამართლიანი და ღია კომუნიკაციის მეშვეობით.



ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ამ მოქმედებით, კომპანია ხდება ყველაზე მეტად სანდო და საყვარელი ყველა იმ ქალაქში, სადაც მისი წარმომადგენლობა არსებობს. ამ მიდგომასთან თანმიმდევრულად, კომპანიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს მრავალფეროვან ინიციატივებს, იმისთვის, რომ დახმარება გაუწიოს იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც თავს იჩენენ იმ რეგიონებში, სადაც კომპანიის წარმომადგენლობა არსებობს. ტოიოტა, როგორც ბრენდი, გეგმავს ავტომობილების წარმოებაში მის მიერ

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმეღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

*ქაჯიან ზეზუაშვილი*

დაგროვილი გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცოდნა გამოიყენოს „ადგილობრივი საზოგადოებების ცხოვრების გამდიდრებასა და განვითარებაში“ თავისი წვლილის შესატანად.

**კომპანიის მიზნები.** ტოიოტა, როგორც ბრენდი, პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანებს, მიზნად ისახავს თანამშრომლებისთვის შესაძლებლობის მიცემას, რათა მათ განახორციელონ სოციალური აქტივობები, მოახდინონ თვითრეალიზაცია თავისი სამუშაოს საშუალებით და უფლება მისცეს მათ საშუალება გამოსცადონ აზროვნების, შექმნისა და მოქმედების უნარი. ამ მიზნის მისაღწევად, ორმხრივი ნდობითა და პასუხისმგებლობით სავსე ურთიერთობა ხელმძღვანელობასა და დაქირავებულ თანამშრომლებს შორის არსებითია. ასეთი ურთიერთობებისას, კომპანია უმაღლეს პრიორიტეტად აწესებს მისი თანამშრომლების სტაბილურ დასაქმებას და აქტიურად ცდილობს გააუმჯობესოს შრომითი გარემო, ამავდროულად დაქირავებული თანამშრომლები აკეთებენ ყველაფერს, იმისათვის, რომ კომპანიის წარმატება გაზარდონ.



ტოიოტამ, ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან სტრატეგიად მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წინ წაწევა დასახა. ხელმძღვანელობა მუშაობს იმაზე, რომ შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც მრავალფეროვანი შესაძლებლობის და ღირებულებების მქონე კადრებს და თითოეულ ინდივიდს შეუძლია მიაღწიოს დადებით თვითრეალიზაციას. **მრავალფეროვანი** პერსპექტივები ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოქმნას და პრობლემების გამოვლინებას. ტოიოტა მიზნად ისახავს, გამოიყენოს ეს კონტრიბუციები კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, რათა დაამზადოს ყოველთვის საუკეთესო ავტომობილები.

## 2 კორპორაციული მმართველობა:

შპს „ტოიოტა კავკასია“ მდგრადი ზრდის და კორპორატიული ღირებულების სტაბილური, გრძელვადიანი ამაღლების საკითხს განიხილავს, როგორც ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს. პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან (აქციონერებთან, მომხმარებლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან, ადგილობრივ გაერთიანებებთან და თანამშრომლებთან) და იმ პროდუქტებით მუდმივ უზრუნველყოფას, რომლებიც მომხმარებლებს დააკმაყოფილებს, რომეზსაც ამ პრიორიტეტების განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით, ტოიოტა მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს კორპორაციული მმართველობა.

ფუნდამენტური მიდგომა - ტოიოტას, როგორც ბრენდის, სახელმძღვანელო პრინციპები აცხადებს, რომ ტოიოტა „პატივს სცემს ყველა ერის კანონის ენასა და სულისკვეთებას და აწარმოებს ღია და სამართლიან ბიზნეს საქმიანობას, რათა გახდეს მსოფლიოს კარგი კორპორაციული მოქალაქე“. შპს „ტოიოტა კავკასია“ იცავს მშობელი საწარმოს ინიციატივას (რაც ტოიოტას ბრენდს განსაზღვრავს) და თვლის, რომ ამ პრინციპის დაცვით, მას შეუძლია შეასრულოს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს მისი დაცვა. ტოიოტას ქვეყნის კოდექსის შემცველი ბროშურა ურიგდება ყველა თანამშრომელს, რათა მათ უკეთ შეძლონ კოდექსის პრაქტიკაში გამოყენება საკუთარ ცხოვრებაში, როგორც სამსახურში, ისე საზოგადოებაში.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგიებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

*ქეთევან ზეიფაძე*



**(i) თანამშრომლებთან ურთიერთობა.** შპს „ტოიოტა კავკასიის“ პერსონალის რაოდენობა 79 - 89-ის ფარგლებშია (2020: 76 - 80). კომპანიას აქვს კარგად სტრუქტურირებული თანამშრომლების დაქირავების პოლიტიკა და კომპანიის მიერ მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კადრების დაქირავება ხორციელდება.

როგორც დამსაქმებელი, შპს ტოიოტა კავკასია უზრუნველყოფს ინსტრუმენტებსა და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს, რათა უზრუნველყოს პერსონალის მიერ მომხმარებელთათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურების გაწევა. კომპანია სთავაზობს განსაკუთრებულ წინსვლის შესაძლებლობებს, პოზიტიურ სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს შრომისმოყვარე, მიზანდასახული პირებისთვის, სადაც თანამშრომლების უფლებები კარგად არის დაცული, რასაც კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტი ყურადღებით უწყევს მონიტორინგს.

**(ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და დილერებთან.** კომპანიამ სანდო ურთიერთობა დაამყარა კავკასიის რეგიონის დილერებთან. დილერების ზრდა და ძლიერი პოზიციონირება კონკურენტულ ბაზარზე მნიშვნელოვნად მხარდაჭერილია კომპანიის მიერ. შპს „ტოიოტა კავკასიამ“ დანერგა დილერების შიდა სისტემა, რომელიც ისეთი ინფორმაციის სწრაფად გაცვლის საშუალებას იძლევა, როგორცაა შეკვეთის დეტალები (ავტომობილის და სათადარიგო ნაწილების მახასიათებლები) და მიწოდების დრო.

შპს „ტოიოტა კავკასია“ ავტომანქანებსა და სათადარიგო ნაწილებს Toyota Motor Europe- სგან იძენს (მწარმოებელი) და უზრუნველყოფს ინდივიდუალური შესყიდვის თითოეული პროდუქტის ხარისხს.

**(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან.** კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად არის ჩამოყალიბებული და მართული. კომპანიის საბუღალტრო განყოფილება დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების გასაცნობად, რომლებსაც შესაძლოა კომპანიაზე გავლენა ჰქონდეს.

გარდა ამისა, კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს გარე (აუთსორსინგი) მომსახურებებს საგადასახადო კონსულტაციებისთვის. ყოველწლიურად კომპანია ამზადებს სატრანსფერო ფასწარმოქმნის ანგარიშს ადგილობრივ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კომპანიას აქვს საგადასახადო ორგანოებთან დავების ლიმიტირებული ისტორია და არ გააჩნია მნიშვნელოვანი ჯარიმებისა და / ან საურავების ისტორია.

### 3 მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები:

კომპანია ახორციელებს ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდირებულ ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილებს რეალიზაციას კავკასიის რეგიონში, რომელიც გულისხმობს საქართველოსა და აზერბაიჯანის ბაზარს. კომპანია ყოველწლიურად აძლევს ავტორიზირებული დილერობის უფლებას იმ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს. ავტორიზირებული დილერობის უფლება ლექსუსისა და ტოიოტას ბრენდებზე გაცივმა ცალკე.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი, საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

*ტოიოტა ჯეოუპტუ*



ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ინფორმაციას კომპანიის მთავარ წარმადობის ინდიკატორებზე:

| ათასობით აშშ დოლარი   | 2021    | 2020    |
|-----------------------|---------|---------|
| ამონაგები             | 168,484 | 167,487 |
| გაყიდვების ხარჯი      | 147,690 | 150,915 |
| მთლიანი მოგების მარჟა | 12%     | 10%     |
| ნეტო მოგების მარჟა    | 5%      | 6%      |
| სულ აქტივები          | 58,909  | 64,162  |
| სულ კაპიტალი          | 25,425  | 47,288  |

ამონაგების შედარებით მცირე ზრდა კორონავირუსის გლობალური გავრცელების შედეგს წარმოადგენს. COVID-19-ის გლობალური პანდემიის დაწყებიდან, კომპანიის წმინდა აქტივებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე პანდემიის გავრცელებამ და მის შესაჩერებლად შემოღებულმა რეგულაციებმა უარყოფითი გავლენა იქონია. თუმცა, 2021 წლის პირველი კვარტალიდან გლობალურმა ეკონომიკამ და განსაკუთრებით საქართველომ დაიწყო აღდგენის ფაზა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ვაქცინების სწრაფი გავრცელება, „ლოქდაუნის“ რეგულაციების შემსუბუქება და საზღვრების გახსნა გლობალური მიწოდების ხელშეწყობისთვის. ეს კომპანიას დაეხმარა შეენარჩუნებინა ზრდის ტემპი და დაეგეგმა გაყიდვების ზრდა მომდევნო წლებში. ბაზარზე ასევე დაფიქსირდა კომპანიის ავტომობილებზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, რაც არის დამატებითი პოზიტიური პერსპექტივა, რომლის მაქსიმიზაციასაც ხელმძღვანელობა გეგმავს.

მთლიანი აქტივების შემცირება ძირითადად გამოწვეულია კომპანიის ერთადერთი დამფუძნებლისთვის 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობის დივიდენდების გადახდით. გარდა ამისა, წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, კომპანიამ წინასწარ შეუკვეთა მისი ავტომობილების მარაგი (წარმოდგენილია, როგორც საქონელი გზაში) ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნისა და COVID-19 გლობალური პანდემიით გამოწვეული მიწოდების შეფერხების და გაურკვევლობის გამო.

მთლიანი კაპიტალის შემცირებაც წარმოადგენს კომპანიის გადაწყვეტილების შედეგს, გამოეცხადებინა და გადაეხადა 29,960 ათასი აშშ დოლარის ოდენობის დივიდენდი. 2020 წელს კომპანიას არც გამოუცხადებია და არც გადაუხდია დივიდენდები.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეგდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ბუთაძე ტყეშელაშვილი

## ამონაგებში ცვლილებების ანალიზი

შპს ტოიოტა კავკასია არის ერთადერთი ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების ოფიციალური იმპორტიორი. ავტომობილები ძირითადად მზადდება იაპონიაში და ტრასპორტირდება ზღვით. ქვემოთ მოცემული პირველი გრაფა აჩვენებს ავტომობილების გაყიდვებს მოდელების მიხედვით და მეორე გრაფა აჩვენებს ქვეყნების მიხედვით მიღებულ ამონაგებს გაყიდვებიდან.

### გრაფა 1\*

| ათასობით აშშ დოლარი | 2020   | 2019   |
|---------------------|--------|--------|
| Land Cruiser        | 60,022 | 80,186 |
| Rav 4               | 32,943 | 28,318 |
| Camry               | 20,567 | 14,483 |
| Lexus               | 15,980 | 19,730 |
| Highlander          | 8,649  | 1,136  |
| Corolla             | 6,928  | 6,280  |
| Hilux               | 6,411  | 3,721  |
| C-HR                | 5,117  | 3,556  |
| Fortuner            | 1,108  | 2,182  |
| Coaster             | 93     |        |

\* მოიცავს ამონაგებს ტრასპორტირების მომსახურების ჩათვლით

### გრაფა 2

| ათასობით აშშ დოლარი | 2021   | 2020   |
|---------------------|--------|--------|
| საქართველო          | 64,510 | 65,669 |
| აზერბაიჯანი         | 93,308 | 93,923 |

## 2021 წლიდან წარდგენილი ახალი პროდუქტები და მომსახურებები

2021 წელს კომპანიამ წარადგინა ახალი პროდუქტი - Toyota CASCO და Lexus CASCO (სადაზღვევო პროდუქტი) აზერბაიჯანში თავისი მომხმარებლებისა და საბოლოო მომხმარებლებისთვის, რაც კომპანიის ბრენდს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს და ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

კომპანიამ, 2021 წლიდან, ასევე დანერგა მეორადი მანქანების საგარანტიო პროგრამა. სერვისი ფუნქციონირებს დილერების მეშვეობით, მწარმოებლის Toyota Motor Europe-ის დაფარვით. კომპანია ხელს უწყობს მომსახურების გავრცელებას თავის რეგიონში.

2021 წელს კომპანიამ დაიწყო ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდების ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების საწყობის ოპერირება ავჭალაში. მიწა და საწყობის შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეგდომით მიიღეთ, დაუყოვნებლოდ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმუდავოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

*ქეთევან ბუაჩიშვილი*

#### 4 კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანია, 2021 წელს, გეგმავს ტოიოტას ახალი მოდელების წარდგენას, რამდენიმე ჰიბრიდული მოდელის ჩათვლით (Toyota Yaris Cross and RAV4 Hybrid adventure grade), რადგან ბაზარზე ჰიბრიდულ ავტომობილებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება. კომპანია 2022 წლიდან აპირებს წარმოადგინოს NX, ES Hybrid და ასევე ახალი თაობის LX, რომელიც ამ დროისთვის, ყველაზე ძვირადღირებული მოდელია კავკასიის რეგიონისთვის. კომპანია ასევე აპირებს გაზარდოს შეკვეთების რაოდენობა იმ მოდელებზე, რომლებზე მოთხოვნაც დიდია, როგორიცაა Land Cruiser 300 და Rav 4 Hybrid. მოსალოდნელია, რომ კომპანია დიდწილად ახალი საავტომობილო მოდელების გაყიდვიდან მიიღებს სარგებელს.

2022 წელს კომპანია გეგმავს ახალი საგარანტიო პროდუქტის - „Toyota 10“ და „Lexus 10“ აზერბაიჯანსა და საქართველოში შემოტანას და დანერგვას დილერების მეშვეობით, რაც შემატებს ღირებულებას Toyota-სა და Lexus-ის ბრენდს და გაზრდის მომხმარებელთა შემდგომი შენარჩუნების შესაძლებლობას და კმაყოფილებას, რაც შექმნის დამატებით შემოსავლის მიღების შესაძლებლობებს. მწარმოებლის გარანტიის ვადის ამოწურვის შემდეგ Toyota 10 და Lexus 10 აძლევს Toyota-ს და Lexus-ის მომხმარებლებს შესაძლებლობას, გაზარდონ გარანტიის დაფარვა მომდევნო ტექნიკურ მომსახურებამდე (1 წელი ან 10,000 კმ, რომელიც პირველი მოხდება) ოფიციალურ დილერთან სრული ტექნიკური მომსახურების ჩატარების შემდეგ (ავტომობილის ასაკის 10 წლამდე მიღწევის ან 160,000 კმ გარბენის მიღწევის დრომდე, რომელიც პირობაც უფრო ადრე დადგება).

#### 5 მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები:

**საკრედიტო რისკი.** კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ეს არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის ვალდებულების შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებიდან, ბანკის ვადიანი დეპოზიტებიდან, ასევე კლიენტების საკრედიტო რისკებიდან, რაც ასევე მოიცავს დასაფარ მოთხოვნებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

| ათასობით აშშ დოლარი                            | 31-დეკ-21    | 31-დეკ-20    |
|------------------------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო                       | 1,190        | 3,211        |
| სხვა მოთხოვნები, ნეტო                          | 138          | 381          |
| <b>სულ საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება</b> | <b>1,328</b> | <b>3,597</b> |

ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად საკრედიტო რისკს ექვემდებარება, შედგება ძირითადად სავაჭრო მოთხოვნებისგან. ანგარიშების მოთხოვნის საბალანსო ღირებულება, მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის გარეშე წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელსაც გააჩნია საკრედიტო რისკი.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიებით, რომლებიც მოწოდებულია კლიენტების მიერ (ავტომობილების ავტორიზირებული დილერები). გარანტირებულმა თანხამ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,190 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (2020: 3,211 აშშ დოლარი).

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეგდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გაავითოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

*ტოიოტა ტყუილზე*





ფულადი სახსრები ინახება ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებიც იქ განთავსებისას ითვლება მინიმალური დეფოლტის რისკის მქონეებად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ნაშთებს მთავარ ბანკებთან საბალანსო თარიღებზე:

| ათასი აშშ დოლარი                                    | 31-დეკ-21    | 31-დეკ-20     |
|-----------------------------------------------------|--------------|---------------|
| სს საქართველოს ბანკი - მიმდინარე ანგარიში           | 261          | 35,618        |
| სს თიბისი ბანკი-მიმდინარე ანგარიში                  | 8,433        | 2,190         |
| ტოკიოს ბანკი-შპს მიცუბიში UFG, - მიმდინარე ანგარიში | -            | 2             |
| <b>სულ</b>                                          | <b>8,694</b> | <b>37,810</b> |

**სავალუტო რისკი.** კომპანიას გააჩნია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რყევების მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. სავალუტო კურსის ტრანზაქციის რისკის არსებობა კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში შემცირებულია იმ ფაქტით, რომ კომპანიას, მისი ბრუნვისა და ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებული აქვს ფუნქციურ ვალუტაში (აშშ დოლარში). ძირითადი სავალუტო რისკი წარმოიქმნება აშშ დოლარის ღირებულების რყევისას კომპანიის წმინდა ინვესტიციებში აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში (უპირველესად ევრო და ქართული ლარი).

სავალუტო რისკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს რისკისადმი დაქვემდებარების დონეს ვალუტის მიხედვით. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად.

| ათასი აშშ დოლარი | 2021 წლის 31 დეკემბერს        |                                    |                | 2020 წლის 31 დეკემბერს        |                                    |                |
|------------------|-------------------------------|------------------------------------|----------------|-------------------------------|------------------------------------|----------------|
|                  | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა პოზიცია | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | წმინდა პოზიცია |
| ქართული ლარი     | 15                            | (69)                               | (54)           | 189                           | (45)                               | 144            |
| ევრო             | 25                            | (1,226)                            | (1,201)        | -                             | (1,221)                            | (1,221)        |
| სხვა             | -                             | (82)                               | (82)           | -                             | (48)                               | (48)           |
| <b>სულ</b>       | <b>40</b>                     | <b>(1,377)</b>                     | <b>(1,337)</b> | <b>189</b>                    | <b>(1,314)</b>                     | <b>(1,125)</b> |

კომპანიის ამოცანა კაპიტალის მართვის დროს არის ის, რომ შეინარჩუნოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, იმისთვის, რომ უზრუნველყოს აქციონერებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის დაბრუნება და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა კაპიტალის ხარჯის შესამცირებლად.

**საბაზრო რისკები.** კორონავირუსის პანდემიის შედეგად, მაკროეკონომიკურ და ფინანსურ პირობებთან დაკავშირებული რისკები მნიშვნელოვნად გაიზარდა - როგორც მოკლევადიან, ისე საშუალოვადიან პერსპექტივაში. ეკონომიკური პირობების სტაბილიზაცია 2021 წლის პირველი კვარტალიდან დაიწყო. მიუხედავად ამისა, შემაკავებელი ზომებისა და ეკონომიკური გავლენის გათვალისწინებით, გაურკვევლობის დონე მაღალი რჩება.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

*ქეთევან ჭყეშელაშვილი*



**პოლიტიკური რისკები** - კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შპს ტოიოტა კავკასიის სამომავლო წარმადობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან.

კოჯი მაცუნო  
პრეზიდენტი

თარიღი 21.03.2022

ირაკლი ლევიშვილი  
დირექტორი, კორპორაციული  
დაგეგმარების განყოფილება

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ყაზბეგის გამზირი 34, 0177 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

ეს წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შეიძლება იყოს პრივილეგირებული. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

*ქეთევან ჭყეიშვილი*

სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის ნომერი

N221234166



სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის თარიღი

14.09.2022 წ

სანოტარო მოქმედების  
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის  
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,  
კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების  
ინდივიდუალური ნომერი

93852390130522



ორიერთს ოცდაორი წლის თოთხმეტ სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის  
სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,  
კომერციული ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი  
#01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის  
სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის  
ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შპს ტოიოტა კავკასია ფინანსური ანგარიშგების  
საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის  
დასკვნა 2021 წლის 31 დეკემბერი. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს  
თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს  
თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.  
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს  
ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდის წესისა და  
მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული  
#507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 108.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ  
რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 113 (ას ცამეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან  
გაუქმების შესახებ) მიღება—გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე:  
[www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

